



## შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“

ქ.თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში,  
ელექტროკაბელებისა და პლასტიკური მასალის  
პოლივინილქლორიდის გრანულების წარმოების პროექტი

## სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს გერგილი

საქართველო თბილისი, ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ. კორპ 7, ბინა 13  
ტელ: 032 2 32 31 45; +995 599 16 44 69

Email: [info@gergili.ge](mailto:info@gergili.ge) Website: [www.gergili.ge](http://www.gergili.ge)

დირექტორი: რევაზ ენუქიძე

ქ. თბილისი

2022 წ.



## სარჩევი

<b>1. შესავალი .....</b>	<b>5</b>
1.1 ზოგადი მიმოხილვა.....	5
1.1.1 გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან 2022 წლის 12 ივლისის N 21/3313 წერილის შენიშვნის შესაბამისად წარმოსადგენი ინფორმაცია - განმარტებითი ბარათი.....	8
1.2 საკანონმდებლო საფუძველი.....	9
<b>2. პროექტის აღწერა .....</b>	<b>12</b>
2.1 საწარმოს ტერიტორიის აღწერა .....	12
2.2 არსებული საქმიანობის აღწერა .....	15
2.2.1 ნედლეულის აღწერა: .....	15
2.2.2 დანადგარის აღწერა: .....	15
2.2.3 გრანულების წარმოება .....	16
2.2.4 ტექნოლოგიური პროცესის აღწერა:.....	17
2.3 ინფორმაცია სპილენძისა და ალუმინის საკაბელო პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური ციკლის შესახებ .....	19
2.3.1 საწარმოო პროცესი: .....	19
2.4 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, სამუშაო დღეთა რაოდენობა, სამუშაო გრაფიკი 24	
2.5 კომპანიის მიერ გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა: .....	24
2.6 წყალმომარაგება და სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი 24	
2.7 საწარმოს ელექტოენერგიით მომარაგება.....	25
2.8 ნარჩენების მართვის საკითხი .....	25
<b>3. ტერიტორიის გარემო პირობები .....</b>	<b>26</b>
3.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები.....	26
3.2 გეოლოგიური პირობები .....	28
3.2.1 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა.....	28
3.2.2 გეომორფოლოგიური პირობები .....	29
3.2.3 სეისმური პირობები.....	29
3.2.4 გეოლოგიური საშიშროებები .....	30
3.3 ჰიდროლოგია .....	31
3.4 ნიადაგები და ძირითადი ლანდშაფტები .....	32



3.5 ბიომრავალფეროვნება .....	33
3.5.1 ფლორა.....	33
3.5.2 ფაუნა.....	33
3.5.3 „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი დაცული სახეობები, რომლებიც გვხვდება საპროექტო ტერიტორიაზე.....	34
3.6 დაცული ტერიტორიები .....	34
3.7 სოციალურ-ეკონომიკური გარემო.....	35
3.7.1 მოსახლეობა.....	35
3.7.2 სიღარიბე და უმუშევრობა.....	35
3.7.3 მრეწველობა.....	36
3.7.4 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები.....	37
<b>4 ზემოქმედების შეფასება.....</b>	<b>38</b>
4.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე და ადგილობრივ კლიმატზე .....	38
4.1.1 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა .....	39
4.1.2 მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება .....	44
4.2 აკუსტიკური ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება .....	54
4.3 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი .....	57
4.4 ზემოქმედება ზედაპირული წყლების ხარისხზე.....	58
4.5 ზემოქმედება მიწისქვეშა / გრუნტის წყლებზე.....	58
4.6 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე.....	59
4.7 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	59
4.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება .....	59
4.9 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება .....	60
4.10 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	62
4.11 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	62
4.11.1 დასაქმება და მასთან დაკავშირებული ზემოქმედებები.....	62
4.11.2 სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება.....	62
4.13 კუმულაციური ზემოქმედება.....	63
4.14 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე.....	63
4.15 შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე ზემოქმედება.....	63
4.16 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება .....	63



<b>5</b>	<b>დანართები.....</b>	<b>64</b>
5.1	საჯარო რეესტრიდან ამონაწერი (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.359).....	64
5.2	შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სასამართლოს დადგენილება.....	67
5.3	ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა .....	79
5.3.1	მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების დახასიათება.....	79
5.3.2	შეტყობინების სქემა ავარიული სიტუაციის დროს.....	83
5.3.3	ავარიებზე რეაგირების ორგანიზაცია.....	84
5.3.4	ავარიებზე რეაგირებისთვის საჭირო პერსონალი და აღჭურვილობა .....	91
5.3.5	საჭირო კვალიფიკაცია და პერსონალის სწავლება.....	93
5.3.6	მონიტორინგი და ანგარიშგება .....	94
5.4	ნარჩენების მართვის გეგმა.....	95
5.4.1	აღწერილობითი ნაწილი .....	95
5.4.2	დასკვნითი ნაწილი-ნარჩენების მართვა.....	99
5.4.3	წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები:.....	100
5.4.4	სეპარირების მეთოდის აღწერა, განსაკუთრებით - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების შესახებ:.....	100
5.4.5	წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები: .....	101
5.4.6	ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით .....	101
5.4.7	სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები: .....	102
5.4.8	იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით: .....	102
5.5	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ .....	103



### ანგარიშში გამოყენებული აბრევიატურები

აბრევიატურა	განმარტება
სამინისტრო	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
გზმ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ტ	ტონა
მმ	მილიმეტრი
მ	მეტრი
კმ	კილომეტრი

### ცხრილი საკონტაქტო ინფორმაცია

პროექტის განმახორციელებელი	შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“
საიდენტიფიკაციო კოდი	405076359
კომპანიის იურიდიული მისამართი	0160, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, შარტავას ქ. 40
კომპანიის დირექტორი	მამია მოცრაძე
საკონტაქტო პირი	ნინო ერგემლიძე
ელ. ფოსტა	n.ergemlidze@nrg.ge
საკონტაქტო ნომერი	+995 551 473 413
დაგეგმილი საქმიანობის ტიპი	გრანულების წარმოება
გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ორგანიზაცია	შპს „გერგილი“
დირექტორი	რევაზ ენუქიძე
საკონტაქტო პირი	გიორგი ლაცაბიძე
ელ. ფოსტა	<a href="mailto:g.latsabidze@gergili.ge">g.latsabidze@gergili.ge</a>
საკონტაქტო ტელეფონი	+995 598511460



## 1. შესავალი

### 1.1 ზოგადი მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ.თბილისში ქვემო ალექსეევკას დასახლებაში შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს (ს/კ 405076359) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.19.24.007.359) ელექტროკაბელებისა და პლასტიკური მასალის პოლივინილქლორიდის გრანულების წარმოების პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

აღნიშნულ საწარმოში 2015 წლიდან ხორციელდება სპილენძისა და ალუმინის ელექტროკაბელების წარმოება, საწარმოში ელექტროკაბელების წარმოებისთვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს წარმოადგენს საიზოლაციო გრანულები (პოლივინილქლორიდის გრანულები), რომლის წარმოებაც საწარმოში ხორციელდება 2019 წლიდან.

საწარმოში საიზოლაციო გრანულების მიღების პროცესი მიმდინარეობს საჭირო ნედლეულის (სტაბილიზატორი, დამარბილებელი, „შემავსებელი“, საღებავი, გამაპრიალებელი, პოლივინილ ქლორიდი) დოზირებით, შერევით ექსტრუდერის დანადგარში და შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით. მიღებულ გრანულებს საწარმო იყენებს კაბელების საიზოლაციო ფენის მისაღებად.

**საწარმოს ტერიტორიაზე განლაგებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები:**

- ნედლეულის საწყობი;
- ნახევრად-ფაბრიკატი პროდუქციის საწყობი;
- სამეურნეო საწყობი;
- PVC გრანულების დამზადების საამქრო;
- კონდუქტორის დამზადების საამქრო;
- კაბელების დამზადების საამქრო;
- დაფასოების საამქრო;
- ადმინისტრაციის 2 ოფისი;
- დაცვის ჯიხური;
- სეკტიკი;
- გაყიდვების შენობა;
- მზა პროდუქციის საწყობი;
- ოფისი.

სამომავლოდ კომპანია გეგმავს შპს „ენ ერ ჯი ჯორჯიას“-ს საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულ შენობებში დაამატოს ახალი ტექნოლოგიური ხაზები. კერძოდ, კაბელების დაფასოებისა და მავთულის გამწვანები დანადგარები.

აღნიშნული საქმიანობა, მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.2 ქვეპუნქტით (ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება) გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.



**შენიშვნა:** 2021 წლის 2 დეკემბერს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ზემოაღნიშნული საწარმოს შემოწმების შედეგად დაადგინა, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ გარემოსდაცვითი შეფასებს კოდექსით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი გადაწყვეტილების (სკრინინგის გადაწყვეტილება) გარეშე (საწარმოში 2019 წლიდან მიმდინარეობს ქიმიური ნივთიერებიდან საიზოლაციო მასალის (პოლივინილქლორიდის გრანულები) წარმოება. რის შესაბამისადაც 2021 წლის 6 დეკემბერს შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს მიმართ შედგა სამართალდარღვევის ოქმი N 064488 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის და ასევე, სამართალდარღვევის ოქმი N 064489, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ვინაიდან აღნიშნული საწარმოს საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს დაკვეთით შპს „გერგილი“-ს მიერ მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად.





### 1.1.2 სიტუაციური სქემა - საწარმოს განთავსების ტერიტორია







### 1.1.1 გარემოს ეროვნული სააგენტოს მხრიდან 2022 წლის 12 ივლისის N 21/3313 წერილის შენიშვნის შესაბამისად წარმოსადგენი ინფორმაცია - განმარტებითი ბარათი

**შენიშვნა:** გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის 41 ნაწილის თანახმად, სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

**პასუხი:** შენიშვნა გათვალისწინებულია. იხ. დანართი 5.5.



## 1.2 საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების შესაბამისად.

წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.2 ქვეპუნქტით (ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება) გათვალისწინებულ საქმიანობას და ექვემდებარება ამავ კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურის გავლას;

აქედან გამომდინარე მომზადდა წინამდებარე სკრინინგის ანგარიში, რომელიც წარდგენილი იქნება სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში სკრინინგის გადაწყვეტილების მისაღებად.

4. საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს:

ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;

ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;

გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

4<sup>1</sup>. სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

5. სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან 3 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს ამ განცხადების თავის ოფიციალურ ვებგვერდსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას. საზოგადოებას უფლება აქვს, სკრინინგის განცხადების ვებგვერდსა და საინფორმაციო დაფაზე განთავსებიდან 7 დღის ვადაში, ამ კოდექსის 34-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით წარუდგინოს სააგენტოს მოსაზრებები და შენიშვნები აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. სააგენტო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.



6. სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სააგენტო შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;

ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;

ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:

გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;

გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

7. სკრინინგის გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო უფლებამოსილია გამოიყენოს სახელმძღვანელო დოკუმენტი „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“.

8. თუ სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ სააგენტო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს არ ექვემდებარება, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

9. სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამ კოდექსის მე-14 მუხლით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.



10. სკრინინგის პროცედურის დასრულებიდან 5 დღის ვადაში სააგენტო უზრუნველყოფს დასაბუთებული სკრინინგის გადაწყვეტილების თავის ოფიციალურ ვებგვერდსა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსებას, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში – მისი ნაბეჭდი ეგზემპლარის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ხელმისაწვდომობას



## 2. პროექტის აღწერა

### 2.1 საწარმოს ტერიტორიის აღწერა

საწარმოს ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში ქვემო ალექსეევას დასახლებაში შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ 01.19.24.007.359), ზღვის დონიდან 454 მ. სიმაღლეზე.

საწარმოს ტერიტორიის ფართობი შეადგენს 31551კვ/მ-ს.

საწარმოს ტერიტორია და მისი შემოგარენი წარმოდგენილია არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწებით, ტერიტორიის ირგვლივ განთავსებულია სხვადასხვა ტიპის და ფუნქციური დატვირთვის საწარმოო ობიექტები. განხილული ობიექტები წლებია ფუნქციონირებს და წარმოადგენს საწარმოო ზონას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპიური ტექნოგენური ლანდშაფტი. უშუალოდ საპროექტო ტერიტორიაზე ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

საწარმოს (ს.კ 01.19.24.007.359) სამხრეთ ნაწილის 717 მ<sup>2</sup> ფართობი, წარმოადგენს რკინიგზის გასხვივისების ზოლს- დატვირთულია სერვიტუტით (იხ. დანართი 5.1).

საპროექტო ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთით ემიჯნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც ეკუთვნის შპს „ბლექ აი ინდასტრი“-ის და იჯარით აქვს აღებული შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმს (ს.კ. 01.19.24.007.038) სადაც განთავსებულია ნავთობბაზა.

საპროექტო ტერიტორიიდან ჩრდილოეთის მიმართულებით ესაზღვრება ანა ძინძიბაძის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია უფუნქციო შენობა (ს.კ. 01.19.24.007.089).

სამხრეთით ემიჯნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც ეკუთვნის სს „სპეცველიოთომონტაჟი“-ს და იჯარით აქვს აღებული შპს „მედიკალ საპორტ ენდ ტექნოლოჯი“-ს (ს.კ. 01.19.24.007.015) სადაც განთავსებულია სამედიცინო ნარჩენების საწვავი ღუმელი (ინსინერატორი), თუმცა ამ ეტაპისთვის არ ფუნქციონირებს.

საპროექტო ტერიტორია უზრუნველყოფილია მისასვლელი გრუნტის გზით, ამიტომ პროექტით დამატებით გზის მოწყობის სამუშაოები არ განიხილება. ტერიტორიაზე განთავსებულია კაპიტალური შენობა-ნაგებობები და საწარმოო ეზო მოპირკეთებულია ბეტონის საფარით.

**საწარმოს ტერიტორიის საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით 200 მეტრის მოშორებით.**

საწარმოდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტს წარმოადგენს აღმოსავლეთით, დაახლოებით 500 მ დაშორებით მდებარე „ნავთისხევი“.

ჩრდილოეთის მიმართულებით 17 კმ-ს მანძილის დაშორებით მდებარეობს დაცული ტერიტორია თბილისის ეროვნული პარკი.

მაღალი ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე ცხოველთა ღირებული სახეობების ტერიტორიაზე მოხვედრის რისკი მინიმალურია, ვინაიდან ტერიტორია შემოღობილია ბეტონის



კედლით. საპროექტო ტერიტორიის ირგვლივ სენსიტიური ობიექტები (სკოლა, საავადმყოფო და ა.შ) არ ფიქსირდება.

**საწარმოს მიწის ნაკვეთის გეოგრაფიული კოორდინატებია:**

<b>N</b>	<b>X</b>	<b>Y</b>
1	493786	4613720
2	493795	4613760
3	493801	4613760
4	493824	4613860
5	483944	4613860
6	493926	4613780
7	493947	4613780
8	493940	4613740
9	494009	4613730
10	494068	4613720
11	494050	4613640
12	493935	4613670
13	493911	4613680
14	494021	4613730
15	493912	4613680
16	493936	4613670
<b>WGS 1984</b>		
<b>ფართობი- 31551კვ/მ</b>		





სურ. 2.1.1 საწარმოს ტერიტორია





## 2.2 არსებული საქმიანობის აღწერა

### 2.2.1 ნედლეულის აღწერა:

საწარმოს ტერიტორიაზე არსებული შენობები აღჭურვილია ტექნოლოგიური ხაზებით-საამქროების ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგარებით, რომლებიც საშუალებას იძლევა მაღალი ხარისხის პროდუქციის მისაღებად.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შენობებში განთავსებულია საამქროს ფუნქციონირებისათვის საჭირო დანადგარები: გრანულატორი, გამწნეხი/ამდიდავი დანადგარები; კონდუქტორის შემგრეხი დანადგარები; ცეცხლგამძლე ლენტის დამხვევი დანადგარები; დამაიზოლირებელი დანადგარები; იზოლირებული ღერების შემგრეხი დანადგარები; დამფასეობელი დანადგარები.

საწარმოში საჭიროებისამებრ გრანულების წარმოებისთვის ნედლეული შემოდის სატვირთო ავტომობილების (დახურული ძარით) საშუალებით, შემდგომ ხის პალეტების საშუალებით მომუშავე პერსონალი ასაწყობებს ნედლეულს გრანულების დამზადების საამქროში სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე, მათ შორის მრავალ სართულიან სათავსოებზე, იმავე შეფუთვით, რითიც ხდება მათი მიღება.

ნედლეულის ძირითადი სახეობებია: პლასტიფიკატორი, სტაბილიზატორი, დამარბილებელი, „შემავსებელი“, საღებავი, გამაპრიალებელი, პოლივინილ ქლორიდი.

მოცემული ნედლეული ორ ფიზიკურ მდგომარეობაშია - თხევადი და მყარი (ფხვნილოვანი). თხევადი ტიპის ნედლეული მოთავსებულია 200 ლიტრიან ლითონის ან პლასტმასის კასრებში, ხოლო ფხვნილოვანი ტიპის ნედლეული 20-25 კგ-მდე პოლიეთილენის და ქაღალდის ტომრებში.

საწარმო უზრუნველყოფილია ყველა საჭირო კომუნიკაციით: წყალმომარაგებით, ელექტროენერგიით და ბუნებრივი არით.

### 2.2.2 დანადგარის აღწერა:

გრანულების დამამზადებელი დანადგარი „გრანულატორი“, შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისგან:

1. ძირითადი ნედლეულის სათავსოები - 3 სითხის ავზი და 3 ფხვნილის ბუნკერი;
2. დოზატორის ორი სასწორი - სითხის და ფხვნილის სასწორი;
3. შემრევი;
4. ექსტრუდერები-დამაქუცმაცებელი (2 ცალი);
5. გამაგრილებელი ბუნკერები;
6. ცხაური (საცერი);
7. მზა პროდუქციის ბუნკერები;



### 2.2.3 გრანულების წარმოება

შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ კაბელების იზოლაციისთვის საჭირო საიზოლაციო მასალას აწარმოებს- პოლივინილქლორიდის კომპოზიტისგან. მიღებული გრანულების გამოყენება ხდება საწარმოს მიერ წარმოებული კაბელების იზოლაციისთვის.

პოლივინილქლორიდის გრანული იწარმოება შესაბამის დანადგარზე "SDJ-75/180 Two-stage Compounding & Pelletizing Extruder Line" ე.წ. „გრანულატორზე“, რომელიც განთავსებულია გრანულების დამზადებისთვის გამოყოფილ საამქროში. ამავე საამქროში განთავსებულია ნედლეულისა და დამზადებული გრანულისთვის საჭირო სპეციალური სათავსოები. წელიწადში დამზადებული გრანულის რაოდენობა შეადგენს: 1200 ტონას.

წელიწადში შემოტანილი გრანულის რაოდენობა შეადგენს: 362.5 ტონა

1 ტონა გრანულის დასამზადებლად გამოიყენება ნედლეულის შემდეგი პროპორციები:

საიზოლაციო მასალების ნედლეული	კგ
შემავსებელი	383 კგ
პოლივინილ ქლორიდი	359 კგ
პლასტიფიკატორი	225 კგ
სტაბილიზატორი	25 კგ
დამარბილებელი	6 კგ
გამაპრიალებელი	1 კგ
საღებავი	1 კგ

პლასტიფიკატორი წარმოადგენს დიოქტილ-ტერაფ-ფტოლიტი (DOTP). DOTP არის გამჭვირვალე სითხე, მაღალი სტაბილურობა და ხსნადი ორგანულ გამხსნელებში, ხოლო PVC თავსებადობა კარგია, არის ეკოლოგიურად სუფთა პლასტიფიკატორი, ევროკავშირის კონტროლირებადი ო-პლასტიფიკატორების, პლასტიფიკაციის ეფექტურობის და ცვალებადობის და DINP-ის გამოკლებით. ზოგადი პლასტიზატორის ექვივალენტურია, სითბოს წინააღმდეგობა, დაბერების წინააღმდეგობა, გამძლეობა, მიგრაციის წინააღმდეგობა, სიცივის წინააღმდეგობა, ელექტრული თვისებები და არასტაბილური დანაკარგების შესრულება უკეთესია, ვიდრე DOP.

დიოქტილ ტერეფტალატი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული ხელოვნურ ტყავში, PU, PVC საკაბელო მასალებში, პლასტმასის ფირის, პლასტმასის სანდლების, ქაფის სანდლების, კარების და ფანჯრის ლუქების, PVC პროფილის, რბილი დაფის, ყველა სახის რბილი და მყარი მილების, დეკორატიული მასალების, ქაფიანი დაფის და პლასტიზატორის გამოყენებით ყველა პროდუქტს შეუძლია შეამციროს წარმოების საწარმოს ღირებულების 30%-ზე მეტი, შეუძლია გახსნას ევროკავშირის სავაჭრო ბარიერების გარემოს დაცვა.



## 2.2.4 ტექნოლოგიური პროცესის აღწერა:

მიღებული ნედლეულის მოთავსება ხდება შესაბამის თხევად ავზებში და ფხვნილის ბუნკერებში. თხევადი სითხე ტუმბოს მეშვეობით ისხმება თხევადი სითხის (3 ავზი) ავზებში, ხოლო ფხვნილი ბუნკერებში იყრება ხელით მომუშავე ოპერატორების მიერ.

დანადგარზე მითითებული ფორმულის მიხედვით, დანადგარი ავტომატურად (ფხვნილს - კომპრესორის მიერ შექმნილი ვაკუუმის საშუალებით, ხოლო სითხეს ყოველი სითხისთვის ინდივიდუალური ძრავების მეშვეობით) ახდენს ნედლეულის ატანას შესაბამის ორ სასწორში (სითხის სასწორი და ფხვნილის სასწორი), საჭირო რაოდენობის ატანის შემდეგ დანადგარი ავტომატურად აჩერებს ატანის პროცესს.

სასწორებში მოთავსებული სითხე და ფხვნილი შემდგომ იყრება „შემრევში“, სადაც კონვეირის საშუალებით დამატებითი (მცირე რაოდენობით საჭირო) ნედლეულიც თავსდება და იწყება შერევის პროცესი. შერევის დასრულების შემდეგ, მიღებული ფხვნილი იყრება ბუნკერში, საიდანაც მექანიკურად, მბრუნავი "შნეკის" საშუალებით ხდება საჭირო რაოდენობის მიწოდება ექსტრუდერებში.

დანადგარში მოთავსებულია ორი ექსტრუდერი, რომლებიც მიღებულ ფხვნილოვან მასას აცხელებენ და ქმნიან ერთგვაროვან მასას, რომელიც პირველი ექსტრუდერიდან გადადის მეორე ექსტრუდერში და მეორე ექსტრუდერიდან მიეწოდება დამჭრელს.


დამჭრელი დანადგარი ექსტრუდერიდან მიღებულ მასას ჭრის „გრანულებად“.

დაჭრილი გრანულები გამაგრილებელ ავზებს შორის ვენტილატორების საშუალებით გადადის, რის შედეგადაც გრილდება და ლებულობს მყარ სახეს.

გაგრილებული გრანული თავსდება „საცერზე“, სადაც ხდება არასტანდარტული და სტანდარტული ზომის გრანულების განცალკევება, რის შემდეგაც სტანდარტული ზომის გრანულები ვენტილატორის საშუალებით გადადის საბოლოო ბუნკერში, საიდანაც ხდება მათი ჩაყრა სხვადასხვა ტიპის ტარაში - მუყაოს ყუთებში, დიდ ტომრებში, პლასტმასის კასრებში, ხოლო არასტანდარტული გამოცალკევებული გრანულები იყრება შესაბამის ტომრებში.

დაფასოებული მზა გრანული ინახება გრანულების დამზადების საამქროში სპეციალურად გამოყოფილ მრავალ სართულიან სათავსოებზე, საიდანაც, მოთხოვნის შესაბამისად, გაიცემა შიდა წარმოებაში.

გრანულების წარმოების პროცესის შედეგად, მზა გრანულთან ერთად, ასევე მიიღება საიზოლაციო მასალის ნარჩენი, რომელიც წარმოიშობა დანადგარების გაშვების დროს - ექსტრუდერებში არსებული მასის დაღვრის შედეგად და არასტანდარტული გრანულების მიღების შედეგად არსებული ნარჩენის საწარმოო ციკლში დაბრუნება და გამოყენება არ ხდება.







## 2.3 ინფორმაცია სპილენძისა და ალუმინის საკაბელო პროდუქციის მიღების ტექნოლოგიური ციკლის შესახებ

კომპანიაში კაბელების წარმოებისთვის განთავსებულია 27 დანადგარი, რომლებიც იყოფა 7 ძირითად ჯგუფად:

N:	საწარმოო ხაზები:	დანადგარის დანიშნულება:	რაოდენობა:
1	გამწნეხი/ამდიდავი დანადგარები	მავთულის დიამეტრის საჭირო ზომამდე დაყვანა	6
2	კონდუქტორის შემგრები დანადგარები	სხვადასხვა ზომის მავთულების შეგრეხვა კონდუქტორის მისაღებად	4
3	ცეცლგამძლე ლენტის დამხვევი დანადგარები	ცეცლგამძლე ლენტის დახვევა კონდუქტორზე	3
4	დამაიზოლირებელი დანადგარები	შიდა თუ გარე იზოლაციის დამადები დანადგარები	6
5	ოზილირებული ღერების შემგრები დანადგარები	იზოლირებული ღერების ერთმანეთზე შეგრეხვა	3
6	დამფასეობელი დანადგარები	მზა კაბელის დაჭრა საჭირო ზომეზად	4
7	გრანულატორი	გრანულების დამამზადებელი დანადგარი	1

### 2.3.1 საწარმოო პროცესი:

კაბელის თვისებებიდან თუ ზომიდან გამომდინარე, საწარმოო ეტაპები კაბელის დამზადებისთვის შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს და შესაბამისად, დამზადების პროცესში შეიძლება გამოიყენებულ იყოს სხვადასხვა ნედლეული თუ დანადგარი.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში აღწერილია ყველა შესაძლო ეტაპი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს კაბელის წარმოებაში. ცხრილი წარმოდგენილია შემდეგი შინაარსობრივი დაყოფით: საწარმოო ეტაპის აღწერა, წარმოების პროცესში გამოყენებული დანადგარები, გამოყენებული ნედლეული და ნახევარფაბრიკატები და საწარმოო ეტაპის შედეგად მიღებული ნარჩენები (იხ.ცხრილი 2.3.1)

საწარმოს ტერიტორიაზე სამომავლოდ დაგეგმილია არსებულ შენობა-ნაგებობებში ახალი ტექნოლოგიური ხაზის დამატება: მავთულის გამწნეხი დანადგარი და კაბელების დაფასეობის საამქრო.

კონდუქტორის დამზადების საამქროში განთავსდება კონდუქტორის შემგრები დანადგარები, სადაც მოხდება სხვადასხვა ზომის მავთულების შეგრეხვა კონდუქტორის მისაღებად.





**ცხრილი 2.3.1 ეტაპები**

N:	საწარმოო ეტაპი:	საწარმოო ეტაპის აღწერა:	დანადგარები (რაოდენობა):	გამოყენებული ნედლეული/ნახევარფაბრიკატები:	საწარმოო ეტაპზე მიღებული ნარჩენი:
1	გაწნეხვა/ადიდვა	სპილენძის/ალუმინის მავთულის საჭირო დიამეტრის მიღება;	- სპილენძის გამწნეხი დანადგარი (1) - სპილენძის ამდიდავი დანადგარი (5) - ალუმინის გამწნეხი დანადგარი (1)	- სპილენძის მავთული; - ალუმინის მავთული;	- სპილენძის მავთულის ნარჩენი; - ალუმინის მავთულის ნარჩენი;
2	კონდუქტორის შეგრეხვა	კონდუქტორის შეგრეხვა სპილენძის/ალუმინის მავთულებისგან;	- ადიდული მავთული შემგრეხი დანადგარი (2) - სპილენძის და ალუმინის შემგრეხი დანადგარი (2)	- სპილენძის მავთული; - ალუმინის მავთული;	- სპილენძის მავთულის ნარჩენი; - ალუმინის მავთულის ნარჩენი;
3	ცეცხლგამძლე ლენტის დახვევა	ცეცხლგამძლე ლენტის დახვევა კონდუქტორიზე;	- ცეცხლგამძლე ლენტის დამხვევი დანადგარი - ჰორიზონალური (2) - ცეცხლგამძლე ლენტის დამხვევი დანადგარი - ვერტიკალური (1)	- სპილენძის მავთული; - ალუმინის მავთული; - სპილენძის კონდუქტორი; - ალუმინის კონდუქტორი;	- სპილენძის მავთულის ნარჩენი; - ალუმინის მავთულის ნარჩენი; - ცეცხლგამძლე ლენტის ნარჩენი;
4	კონდუქტორის იზოლაცია	კონდუქტორის იზოლირება სხვადასხვა საიზოლაციო მასალით;	- კონდუქტორის საიზოლაციო ხაზი (6) - გამოიყენება იგივე დანადგარები რაც გარე იზოლაციის ეტაპზე	- სპილენძის კონდუქტორი; - ალუმინის კონდუქტორი; - საიზოლაციო მასალა - PVC; XLPE;	- სპილენძის მავთულის ნარჩენი; - ალუმინის მავთულის ნარჩენი; - სპილენძის კაბელის ნარჩენი; - ალუმინის კაბელის ნარჩენი; - საიზოლაციო მასალის ნარჩენი;
5	იზოლირებული ღერების შეგრეხვა	იზოლირებული კონდუქტორის ღერების შეგრეხვა;	- იზოლირებული ღერების შემგრეხი დანადგარი (3)	- სპილენძის იზოლირებული ღერი; - ალუმინის იზოლირებული ღერი;	- სპილენძის კაბელის ნარჩენი; - ალუმინის კაბელის ნარჩენი;



6	ბრონის დახვევა	იზოლირებულ ღერზე/შეგდერეხილ იზოლირებულ ღერებზე ფოლადის ლენტის ან ფოლადის მავთულის ან ალუმინის მავთული დახვევა	- არ აქვს სპეციალური დანადგარი	<ul style="list-style-type: none"> <li>- სპილენძის იზოლირებული ღერი;</li> <li>- სპილენძის შეგრეხილი იზოლირებული ღერები;</li> <li>- ალუმინის იზოლირებული ღერი;</li> <li>- ალუმინის შეგრეხილი იზოლირებული ღერები</li> <li>- ფოლადის ლენა</li> <li>- ფოლადის მავთული</li> <li>- ალუმინის მავთული</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სპილენძის კაბელის ნარჩენი;</li> <li>- ალუმინის კაბელის ნარჩენი;</li> <li>- ფოლადის ნარჩენი;</li> <li>- ალუმინის ნარჩენი;</li> </ul>
7	გარე იზოლაცია	იზოლირებულ ღერებზე საბოლოო იზოლაციის ფენის გაკეთება;	- კონდუქტორის საიზოლაციო ხაზი (6) - გამოიყენება იგივე დანადგარები რაც შიდა იზოლაციის ეტაპზე	<ul style="list-style-type: none"> <li>- სპილენძის იზოლირებული ღერი;</li> <li>- სპილენძის შეგრეხილი იზოლირებული ღერები;</li> <li>- ალუმინის იზოლირებული ღერი;</li> <li>- ალუმინის შეგრეხილი იზოლირებული ღერები</li> <li>- საიზოლაციო მასალა - PVC; XLPE; HFFR;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სპილენძის კაბელის ნარჩენი;</li> <li>- ალუმინის კაბელის ნარჩენი;</li> <li>- საიზოლაციო მასალის ნარჩენი;</li> </ul>
8	დაფასოება	მიღებული კაბელის დაფასოება (დაჭრა მოთხოვნილ სიგრძეებად) რულონებად თუ ხის ბარაზნებზე;	- დამფასოებელი დანადგარი (4)	<ul style="list-style-type: none"> <li>- სპილენძის კაბელი</li> <li>- ალუმინის კაბელი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>- სპილენძის კაბელის ნარჩენი;</li> <li>- ალუმინის კაბელის ნარჩენი;</li> </ul>




სქემა 2.3.1 საწარმოში განთავსებული დანადგარების გეგმა (დაგეგმილი ცვლილებით)

### საწარმოში განთავსებული დანადგარების გეგმა (დაგეგმილი ცვლილებებით)

გაფრქვევის წერტილები:

- - ექსტრუდერები
- - ფხვნილის ჩაყრის წერტილი
- - გამაგრებული ავზები
- - კომპრესორი
- - ტრანსფორმატორი



შიდა თუ გარე იზოლაციის დამადები დანადგარების ჩამონათვალი და წარმადობები მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

**ცხრილი 2.3.2**

N	დანადგარის დასახელება:	მოდელი:	მწარმოებელი ქვეყანა:	დადგმული სიმძლავრე (კვტ.)	წარმადობა (კგ/სთ)
1	საიზოლაციო ხაზი N1 (80+70)	-	ჩინეთი	326,5	165
2	საიზოლაციო ხაზი N2 (100+70)	-	ჩინეთი	421,95	150
3	საიზოლაციო ხაზი N3 (120+120)- დიდი ტანდემი	UYGAR 120/120	თურქეთი	439,35	990
4	საიზოლაციო ხაზი N4 (80+50)- პოლიეთილენი	UYGAR 120/120/60	ჩინეთი	166,4	60
5	საიზოლაციო ხაზი N5 (90+90+60)- პატარა ტანდემი	-	ჩინეთი	427,45	230
6	საიზოლაციო ხაზი N6 (120+120+60)	-	თურქეთი	951,9	350
7	გრანულატორი	SDJ- 75/180	ჩინეთი	332,02	600

## 2.4 დასაქმებული პერსონალის რაოდენობა, სამუშაო დღეთა რაოდენობა, სამუშაო გრაფიკი

საწარმო მუშაობს შემდეგი გრაფიკით: სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში - 250 დღე. დასაქმებული 60 მუშა-პერსონალი;

საწარმო ფუნქციონირებს შემდეგი გრაფიკით:

### სამუშაო გრაფიკი:

საწარმოს თანამშრომლები მუშაობენ 2 ცვლაში: დღის (8საათიანი) - 09:00 სთ. – 18:00 სთ. და ღამის (13 საათიანი) - 18:00 სთ. – 9:00 სთ.

ადმინისტრაცია მუშაობს შემდეგი გრაფიკით: ორშ. - პარ: 9:00 სთ. – 18:00 სთ.

## 2.5 კომპანიის მიერ გამოყენებული ტექნიკის ჩამონათვალი და რაოდენობა:

კომპანიის საწარმოო პროცესში გამოყენებულია:

- 6 ავტო-დამტვირთველი.

## 2.6 წყალმომარაგება და სამეურნეო-ფეკალური და სანიაღვრე წყლების მართვის საკითხი

საწარმოს სასმელი წყლით უზრუნველყოფა ხდება „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ“-თან (აბონენტის ნომერი: 751052765) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოში წყლის გამოყენება საწარმოო ციკლის დროს ხდება მხოლოდ დამზადებულ კაბელზე დასხმული საიზოლაციო მასალის გასაგრილებლად, რომლისთვისაც მოწყობილია გაგრილების სისტემა წყლის ბრუნვითი ციკლით. საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებულია მიწისქვეშა 40 ტონიანი ავზი და შხეფმაცივარი. წყლის გამოყენება ხდება დახურული ციკლით და წყალი ცირკულირებს რეზერვუარსა და საწარმოო ხაზს შორის, შესაბამისად, აღნიშნული პროცესის დროს წყლის დაბინძურება არ ხდება და ხდება მხოლოდ მისი მექანიკურ ფილტრში გატარება.

ასევე, არ ხდება საწარმოო ჩამდინარე წყლების წარმოქმნა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაგრილების სისტემა ფუნქციონირებს წყლის ბრუნვითი ციკლით.

სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხდება არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტერიტორია მოწყობილია კაპიტალურად, სადაც უზრუნველყოფილია სანიაღვრე წყლების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაედინება არსებულ სანიაღვრე სისტემაში.

## 2.7 საწარმოს ელექტოენერგიით მომარაგება

საწარმოს ელექტრომომარაგება ხორციელდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე შპს „თელმიკო“-სთან (აბონენტის ნომერი: 4251614). საწარმოს ასევე, აქვს პარალელური ელექტრომომარაგებისთვის 3 ტრანსფორმატორი.

	ტრანსფორმატორი დასახელება/მოდელი	სიმძლავრე
1	КТПГС - 2500 - 6/04	2500 კვ.ამპერი
2	КТПГС - 1250 - 6/04	1250 კვ.ამპერი
3	ტრანსფორმატორი - 6300 - 35/6,3	6300 კვ.ამპერი

## 2.8 ნარჩენების მართვის საკითხი

საწარმოს მოწყობის ეტაპზე ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არაა, რადგან საწარმოს მოწყობის ეტაპი არ ითვალისწინებს ინტენსიურ სამუშაოებს. დანადგარების დამონტაჟდება მოხდება 2-3 კვირის განმავლობაში.

საწარმოო პროცესში წარმოქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები:

საქმიანობის შედეგად ძირითადად წარმოექმნება 4 კატეგორიის ნარჩენი:

1. ალუმინისა და სპილენძის მეტალის ნარჩენი- შპს "თი ერ სი" ახორციელებს სპილენძისა და ალუმინის ნარჩენი პროდუქციის შესყიდვას გარკვეული პერიოდულობით;
2. საიზოლაციო ნარჩენი - შპს "თბილსერვის ჯგუფი" ახორციელებს გამოყენებისათვის უვარგისი საიზოლაციო მასალის ნარჩენების განადგურება\_დამარხვის მომსახურებას;
3. კაბელის ნარჩენი - რომელსაც კომპანია ყიდის;
4. სახიფათო ნარჩენებიდან კომპანიას წარმოექმნება:
  - ჰიდრავლიკური ზეთები;
  - დანადგარების შეკეთების შედეგად საპოხი მასალებით დაბინძურებული ჩვრები;
  - ზეთებით დაბინძურებული ნახერხი და წარმოებისთვის შემოტანილი ქიმიური ნივთიერებების შესაფუთი მასალები.

ნარჩენების გატანა/ტრანსპორტირებას უზრუნველჰყოფს - შპს "სანიტარი".

რაც შეეხება საწარმოო და სამშენებლო ნარჩენებს, მის გატანას გარკვეული პერიოდულობით ახორციელებს შპს "მშენსერვის ჯგუფი".

საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი განთავსება ხდება სპეციალური კონტეინერში და შემდგომ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ტერიტორიიდან ხდება მისი გატანა მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე ხელშეკრულების საფუძველზე.



### 3. ტერიტორიის გარემო პირობები

#### 3.1 კლიმატი და მეტეოროლოგიური პირობები


თბილისში ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულზე გარდამავალი ჰავაა. იცის ზომიერად ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული, საშუალო წლიური ტემპერატურა 12.3°C, იანვარი 0.7°C, ივლისი 24.2°C; აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა - 23°C, აბსოლუტური მაქსიმალური 40°C. ნალექები 560 მმ წელიწადში. უხვნალექიანია მაისი (90 მმ), მცირენალექიანი -იანვარი (20 მმ). თოვლის სახით ნალექი შეიძლება მოვიდეს საშუალოდ 15-25 დღე წელიწადში. გაბატონებულია ჩრდილოეთი და ჩრდილოეთ-დასავლეთის ქარი, ხშირია აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარი.

თბილისის კლიმატის დახასიათებისათვის გამოყენებულია „სამშენებლო კლიმატოლოგია (პნ 01.05-08)“. ტექსტში მოცემულია მეტეოროლოგიური სადგურის -ფონიჭალა.

ცხრილი 3.1.1 ჰაერის ტემპერატურა

პუნქტის დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო წლიური	აბსოლუტური მაქსიმუმი	აბსოლუტური მინიმუმი
თბილისი, ბოტ. ბაღი	1,3	2,9	6,	11	17	20,6	23,7	23,5	19,3	13,8	7,8	3,1	12,8	-22	40


დიაგრამა 3.1.1 ჰაერის ტემპერატურა



**ცხრილი 3.1.2** ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %

პუნქტის დასახელება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	საშუალო წლიური
თბილისი. ბოტ.ბაღი	72	70	67	65	65	61	58	56	63	70	75	75	67

**დიაგრამა 3.1.1** ჰაერის ფარდობითი ტენიანობა, %



**ცხრილი 3.1.3** ნალექების რაოდენობა

პუნქტის დასახელება	ნალექების რაოდენობა წელიწადში, მმ	ნალექების დღე-ღამური მაქსიმუმი, მმ
თბილისი. ბოტანიკური ბაღი	616	145

**ცხრილი 3.1.4** თოვლის საფარი

პუნქტის დასახელება	თოვლის საფარის წონა, კგა	თოვლის საფარის დღეთა რიცხვი	თოვლის საფარის წყალშემცველობა, მმ
თბილისი. ბოტანიკური ბაღი	0,50	14	-

## 3.2 გეოლოგიური პირობები

### 3.2.1 გეოლოგიური აგებულება და ტექტონიკა

თბილისის მიდამოებისა და მისი მომიჯნავე ადგილების გეოლოგიური აგებულება (სტრუქტურა) საკმაოდ მრავალფეროვანია. ეს ძირითადად განპირობებულია რაიონის გეოლოგიურ-გეოგრაფიული მდებარეობით. თბილისი მდებარეობს ორ ძლიერ მათა დანაოჭებულ სისტემას შორის. ერთის მხრივ (ჩრდილოეთიდან) კავკასიონის ინტენსიურად დისლოცირებული მათა სისტემა, ხოლო მეორეს მხრივ (სამხრეთიდან) - შედარებით ნაკლებად დანაოჭებული თრიალეთ-აჭარის ნაოჭა ზოლი. ამ უბნის ნაწილი შედის საქართველოს ბელტის გავრცელების ფარგლებში, რომელიც სამგორ-სოღანლუდის ველებსა და მცხეთის დასავლეთით მდებარე ქართლის დაბლობის ნაწილს ეხება. მცხეთასთან, კავკასიონისა და თრიალეთის მათა სისტემების ერთმანეთთან მაიხლოების (შეჯახების) შედაგად, საქართველოს ბელტი ძალზე შევიწროებულია.

საქართველოს ტექტონიკური დარაიონების (ე. გამყრელიძე, 2000 წ) მიხედვით საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის თბილისი-მანგლისის ქვეზონას. იგი წარმოადგენს აჭარა-თრიალეთის ნაოჭა სისტემის აღმოსავლეთ დაბოლოებას. ტერიტორია აგებულია ზედა ეოცენის და ოლიგოცენის ტერიგენული ნალექებით. მათი სიმძლავრე 500 მ-მდეა. შუა ეოცენის, ქვედა ეოცენ-პალეოცენის და ზედა ცარცული ასაკის ნალექებს აქ ძირითადად მცირე სიმძლავრეები გააჩნია. თბილისი და მისი მიდამოები აგებულია მესამეული ასაკის ტერიგენული და ტუფოგენური ქანებით. მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მეოთხეულ (მდინარეულ და ტბიურ) დანალექებს. მარჯვენანაპირეთში ვრცელი ფართობი უჭირავს ზედაეოცენურ დანალექებს, რომელიც წარმოდგენილია თაბაშირიანი თიხებითა და ქვიშაქვებით. ამ დანალექი ქანებით არის აგებული მთლიანად მდინარეების დილმისწყლისა და ვერეს აუზები. იგივე ნალექებია გავრცელებული კოდა-წალასყურის მიდამოებში. ქალაქის მიდამოების სამხრეთ ნაწილში რელიეფის აგებულებაში მონაწილეობს შუა ეოცენური ტუფოგენური დანალექები უხეშშრობრივი და მასიური ანდეზიტური ტუფობრექციები (ანდეზიტური საფარით), კერძოდ ისინი აგებენ თელეთის, თაბორის და სოლოლაკის ქედებს. თელეთისა და თაბორის ქედების ნაოჭები მტკვრის მარცხენა მხარეზე გადადიან, მაგრამ იქ იძირებიან და ტუფოგენური წყება ზემოდან დაფარულია თიხებით, ფიქლებითა და ქვიშაქვებით. თელეთის ქედის დასავლეთ გაგრძელებაზე მდებარე კოჯორის ქედის აგებულებაში ეოცენის თიხებთან და ქვიშაქვებთან ერთად, მონაწილეობს აგრეთვე შუა ეოცენის ტუფოგენური ქვიშაქვები, ტუფობრექციები, ქვიშაქვები და ფიქლები. ოლიგოცენ-შუამიოცენის ასაკის თაბაშირიანი თიხებით და ქვიშაქვებით არის აგებული შედარებით მცირე ფართობი, დილმის ვაკის დასავლეთით მდებარე თრიალეთის ქედის მთისწინეთი. თბილისსა და მის მიდამოებში ფართოდაა გავრცელებული მეოთხეული ალუვიური, დელუვიურ-პროლუვიური და ტბიური ნალექები. ალუვიონი წარმოდგენილია მდ. მტკვრის გაყოლებით და ისინი ტერასებს ქმნიან. ახალგაზრდა (თანამედროვე) ალუვიური ნალექები კენჭნარისა და ქვიშებისაგან შედგება და ვიწრო ზოლად გასდევს მდ. მტკვარს. მეოთხეული ალუვიური კენჭნარებით, ქვიშებით, თიხნარით და თიხებით არის დაფარული დილმის და ფონიჭალის ვაკე. დელუვიურ-პროლუვიური ნალექები, რომელიც მეტწილად თიხნარების, ლიოსისებური თიხებისა და ღორღისაგან შედგება, გავრცელებულია მთაწმინდისა და თელეთის ქედის ფერდობებზე, საბურთალოს და დილმის მიდამოებში. თბილისსა და მის მიდამოების რელიეფისათვის

დამახასიათებელია მეწყერული მოვლენები. ისინი ძირითადად განვითარებულია თრიალეთის ქედის აღმოსავლეთ შტოქედზე.

### 3.2.2 გეომორფოლოგიური პირობები

გეომორფოლოგიურად ტერიტორია წარმოადგენს მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირის ძველი ჭალისზედა ტერასის ნაწილს სწორი რელიეფით.

თბილისის მიდამოებში გავრცელებული ქანების შრეები სხვადასხვა დროს - მეზოზურის ბოლოს, პალეოგენის მიწურულს, მიოცენის რამდენიმე ეპოქაში, პლიოცენისა (ძირითადად აღჩაგის წინ) და ადრეულ მეოთხეულში მომხდარი ოროგენეტიული მოძრაობების (მთათაწარმოების პროცესების) შედეგად საკმაოდ ინტენსიურადაა დანაოჭებული, შექმნილია განედური მიმართულების მრავალი ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭი, ჩრდილოეთით მცხეთა-გომბორი-მანავის ზოლში შემოსაზღვრული დიდი შეცოცებით, რომლის გასწვრივაც ქართლი-ცივგომბორის ქედებზე გავრცელებულია პალეოგენისა და უფრო ძველი ქანები, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული მოძრაობის შედეგად, განლაგებულია საქართველოს ბელტის გვიან ოლიგოცენისა და მიოცენის შრეებზე, თბილისის მიდამოების სამხრეთით, აგრეთვე თბილისის მიდამოებშიცაა შენიშნული უფრო პატარა ამპლიტუდის გარღვევის ზოლები. აქ რამდენიმე ანტიკლინური და სინკლინური ნაოჭია წარმოდგენილი. მათ შორის შედარებით მოზრდილები და ზოგჯერ რელიეფშიც შესამჩნევად კარგად გამოსახულია ანტიკლინები: მცხეთის, ლისის (იგივე დიღმის), თბილისის სეიდაბადის, ანუ თაბორის, თელეთის, კაჯარდაგისა (რუსთავ-ნაცვალწყალის) და ნორიო-მარტყოფის, სინკლინები: ორმოიან-ხევძმარის, საბურთალოს, ტაბახმელასა და კრწანისის, გავეცნოთ ჯერ ერთ ანტიკლინურ, ხოლო შემდეგ სინკლინურ ნაოჭებს.

### 3.2.3 სეისმური პირობები

სამშენებლო ნორმებისა და წესების „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) მიხედვით ობიექტის განთავსების ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან (MSK 64 სკალა) სეისმურ ზონაში.

სეისმური ტალღების მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მახასიათებლები ტერიტორიის ფარგლებში არსებული დასახლებული პუნქტის - ქ. თბილისისათვის შეადგენს 0.17 მ/წმ<sup>2</sup>.





### 3.3 ჰიდროლოგია

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი წყლის ობიექტს წარმოადგენს მდინარე ნავთისხვი, რომელიც გაედინება საწარმო ტერიტორიიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, მისი სიგრძე სიგრძე 4 კმ-ია და წარმოადგენს მდ. მტკვრის შენაკადს.

საწარმოს ტერიტორიიდან დაახლოებით 382 მ-ის დაშორებით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით მდებარეობს მდ. ლოჭინი.

მდინარე ლოჭინი სათავეს იღებს იალნოს ქედის სამხრეთ-დასავლეთ განშტოების აღმოსავლეთ კალთებზე, მთა სადანძილეს (1337.0 მ) სამხრეთ-აღმოსავლეთით პატარა-ხევისა და წირდლის-ხევის შეერთებით 785 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან 867 კმ-ზე მისი შესართავიდან.

მდინარე ლოჭინის აუზი მკაფიოდ იყოფა მთიან და დაბლობ ზონებად. მთიანი ზონის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ ქვიშაქვები, მერგელები და ძველი კონგლომერატები. აუზის ქვედა ზონის გეოლოგიური აგებულება კი წარმოდგენილია შედარებით ახალი ალუვიური განფენებით. აუზში ძირითადად გავრცელებულია თიხნარი შემადგენლობის ტყის ყავისფერი ნიადაგები. აუზის ზედა ზონაში გავრცელებულია ფოთლოვანი ტყე, დაბლობი კი ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით.

მდინარის ხეობა მთელ სიგრძეზე ტრაპეციული ფორმისაა. ხეობის კალთები ერწყმის მიმდებარე ქედების ფერდობებს. შესართავისკენ მდინარის ხეობა გადის მდ. მტკვრის მარცხენა ტერასაზე და არამკაფიოდ არის გამოხატული. ტერასები მდინარეს გასდევს მთელ სიგრძეზე. ტერასების სიმაღლე 2-3 მეტრი, სიგანე 30-50 მეტრი, სიგრძე კი 100-200 მეტრს უტოლდება. აუზის ზედა ზონაში ტერასები დაფარულია ბალახითა და ბუჩქნარით, ქვემოთ კი ათვისებულია სახნავებითა და ბაღებით.

მდ. ლოჭინის წყალშემკრები აუზის ფართობი კი 204 კმ<sup>2</sup>-ია, საშუალო ქანობი 30.0‰,

მდინარის კალაპოტი ზომიერად კლაკნილი და ძირითადად დაუტოტავია. ნაკადის სიგანე იცვლება 2-3 მეტრიდან (სათავეებში) 8-10 მეტრამდე (შესართავისკენ), სიღრმე 0.3-0.5 მეტრიდან 0.8-1.0 მეტრამდე, სიჩქარე 0.8 მ/წმ-დან 1.2 მ/წმ-მდე.

მდ. ლოჭინის 10%-იანი უზრუნველყოფის წლის მაქსიმალური ხარჯი ტოლია 185 მ<sup>3</sup>/წმ-ის, ხოლო 1%-იანი უზრუნველყოფის წყლის მაქსიმალური ხარჯი ტოლია 360 მ<sup>3</sup>/წმ-ის.

მდინარე ლოჭინი საზრდოობს თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლებით, ამასთან გრუნტის წყლები მდინარის საზრდოობაში მეორეხარისხოვან როლს ასრულებენ. მდინარის წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობით, წვიმებით გამოწვეული ზაფხულ-შემოდგომის წყალმოვარდნებით და ზამთრის არამდგრადი წყალმცირებით. აღსანიშნავია, რომ შემოდგომის წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნის დონეები ბევრად აღემატება თოვლის დნობით გამოწვეული გაზაფხულის წყალდიდობის დონეებს. ზამთრის წყალმცირების დონეები ხშირად ირღვევა წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნებით. მდინარე ლოჭინი გამოიყენება ირიგაციული დანიშნულებით. მასზე მოწყობილი სათავე ნაგებობით დამატებითი კვება მიეწოდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ქვემო მაგისტრალურ არხს.



მიწისქვეშა წყლები ძირითადად გავრცელებულია თანამედროვე მეოთხეული ნალექების ფარგლებში. მიწისქვეშა წყლებს ძირითადად გააჩნია დაბალი მინერალიზაცია და ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ან ნატრიუმიანი შედგენილობა. გრუნტის ფოროვანი წყლები განვითარებულია ალუვიურ ქვიშიან-კენჭნარიან ნალექებში, მდ. მტკვრის ჭალისა და დაბალი ტერასების ფარგლებში.

### 3.4 ნიადაგები და ძირითადი ლანდშაფტები

თბილისის მიდამოებში გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოსათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა ტიპის ნიადაგი, დაწყებული ნახევარუდაბნოს ნიადაგებით და მლაშობებით, დამთავრებული მთის მდელოს ნიადაგებით.

როგორც მარცხენა, ისე მარჯვენანაპირეთში ფართოდ არის გავრცელებული ტყის ყავისფერი და ყომრალი ნიადაგები, განსაკუთრებით გაბატონებულია ის მარჯვენანაპირეთში, თრიალეთის ქედის ბოლო ტოტებზე.

შედარებით მცირე ფართობი უჭირავს ალუვიურ ნიადაგებს, ისინი მდ. მტკვრისა და მისი შენაკადების ხეობის დაბალ ტერასებზეა. ალუვიური ნიადაგი ხასიათდება კარგი სტრუქტურითა და ფიზიკური თვისებებით. საწარმოს ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა ემისიების გავლენას შემოგარენი ზონის ნიადაგურ საფარზე პრაქტიკულად ადგილი არა აქვს. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ საწარმოო ტექნოლოგიური პროცესების ყველა ციკლის ფუნქციონირება-რეალიზაცია მიმდინარეობს უსაფრთხოების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, საწარმოო უბნებზე ლოკალიზებულია ყველა შესაძლო ნავთობპროდუქტების დაღვრის ადგილები და შესაბამისად არ არსებობს წინაპირობა ნიადაგური ზედაპირის დაბინძურების წარმოქმნის მიმართულებით.

თბილისი და მისი მიდამოები გამოირჩევა ლანდშაფტების მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია მისი ბუნებრივი კომპლექსების განსხვავებული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონის მიჯნაზე მდებარეობით. ამან გამოიწვია ლანდშაფტების შემადგენელი ცალკეული კომპონენტების და მთლიანად ლანდშაფტის ნაირგვარობა. თბილისის მიდამოების ვაკიან და გორაკ-ბორცვიან ნაწილში ჩამოყალიბებულია აღმოსავლეთ საქართველოს სტეპისათვის დამახასიათებელი, ხოლო დასავლეთით და ჩრდილოეთ მთიან ნაწილებში – მთა-ტყის ლანდშაფტები, რომლებიც სიმაღლებრივ ზონებს ქმნიან. ლანდშაფტის ტიპებისა და ქვეტიპების შემდგომი დიფერენციაცია განსაზღვრა რელიეფის ფორმათა სიჭრელემ და ძლიერმა დანაწევრებულობამ, რის გამოც აქ ათზე მეტი დასახელების ლანდშაფტია შექმნილი. ამასთანავე, ადამიანის მრავალსაუკუნოვან სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით, თბილისის მიდამოებში პირველადი ბუნებრივი ლანდშაფტები უკიდურესად დარღვეულია, სანაცვლოდ შექმნილია ანთროპოგენური ლანდშაფტების თითქმის ყველა სახესხვაობა. ბუნებრივი, მეტ ნაკლებად ხელუხლებელი ლანდშაფტები შემორჩენილია მთა-ტყეთა ზონაში და ნაწილობრივ მეურნეობისათვის გამოუსადეგ ადგილებში.

### 3.5 ბიომრავალფეროვნება

საქართველოს ტერიტორია მდიდარია სხვადასხვა ენდემური სახეობებით, ხოლო მთლიანად კავკასიის რეგიონი ერთ-ერთია მსოფლიოს იმ 34 ბიომრავალფეროვნების "ცხელ წერტილს" შორის, სადაც ფლორა და ფაუნა განსაკუთრებით მდიდარია და ასევე განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ იმყოფება.

ბიომრავალფეროვნების (BDI) იდექსის მიხედვით, რომელიც ყველა ქვეყნისათვის გამოანგარიშდება, საქართველო 1.01 ინდექსით 36-ე ადგილზეა მსოფლიოში და 1-ელ ადგილზე ევროპაში.

#### 3.5.1 ფლორა

თბილისის მიდამოებში ტყეები დიდი ხანია გაიჩეხა და ამჟამად, როგორც ქალაქის დასახლებულ ნაწილში, ისე მოსაზღვრე ვაკეებზე, გორაკ-ბორცვებსა და მთის კალთებზე უპირატესად ხელოვნურად გაშენებული ხემცენარეულობა (მ. შ. წიწვოვანები) ხარობს. განაშენიანებული ტერიტორიის ირგვლივ ჭარბობს სტეპის ბალახეულობა და ჯაგეკლიანი ბუჩქნარი, უფრო დაშორებულ ადგილებში, ქედების კალთებზე კი მეორეული ფართოფოთლოვანი ტყეებია.

საწარმოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიები ურბანიზებულია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მნიშვნელოვან ანთროპოგენურ ზემოქმედებას. ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილია ერთეული ეგზემპლარი ხელოვნურად გაშენებული ხე-მცენარეებით.

ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერებისას, ასევე არსებული ლიტერატურულმა შეფასებამ საკვლევ არეალში ვერ გამოავლინა რომელიმე მნიშვნელოვანი ფლორისტული კომპონენტის არსებობა და აქედან გამომდინარე ტერიტორიისათვის მნიშვნელოვანი დამცავი ღონისძიებების დასაბუთება არ მოითხოვს საჭიროებას.

#### 3.5.2 ფაუნა

საკვლევ იბიექტი მდებარეობს მნიშვნელოვანი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე. ამიტომ ტერიტორიის მიმდებარედ შეიძლება შეგხვდეს ცხოველთა, მხოლოდ სინონტროპული სახეობები. რომელიმე მნიშვნელოვანი სახეობისთვის ტერიტორია არ შეიძლება წარმოადგენდეს საბინადრო ადგილს. აქვე გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ საწარმოს ტერიტორია შეღობილია, ეზოში მსხვილი ცხოველების მოხვედრის ალბათობა პრაქტიკულად გამორიცხულია.

მდ. მტკვარში ბინადრობს თევზის 11 სახეობა. აღნიშნული სახეობებიდან, ოთხი სახეობა გამავალია (*Rutilus rutilus caspius*, *Aspius aspius taeniatus*, *Chalcaburnus chalcoides* და *Abramis brama orientalis*) შვიდი სახეობა კი ენდემური: *Chondrostoma cyri*, *Gobio persa*, *Varicorhinus capoeeta*, *Barbus lacerta cyri*, *Barbus mursa*, *Acanthalburnus microlepis*, *Nemachilus brandti*. ორი სახეობა (*Barbus capito* და *Alburnus filippi*) კავკასიის ენდემებია.

### 3.5.3 „საქართველოს წითელ ნუსხაში“ შეტანილი დაცული სახეობები, რომლებიც გვხვდება საპროექტო ტერიტორიაზე

საპროექტო ტერიტორიაზე არ დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხის არცერთი ფლორისტული ან ფაუნისტური სახეობა, შესაბამისად ამ კუთხით რაიმე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

### 3.6 დაცული ტერიტორიები

თბილისის ეროვნული პარკი თბილისთან ყველაზე ახლოს მდებარე დაცული ტერიტორიაა. თბილისის ეროვნული პარკი პირველი ეროვნული პარკია საქართველოში, რომელიც შეიქმნა 1973 წელს. გარკვეული პერიოდის შემდეგ მან დაკარგა ეროვნული პარკის სტატუსი და 2007 წელს ყოფილი ეროვნული პარკის ნაწილისა და საგურამოს ნაკრძლის ბაზაზე კვლავ შეიქმნა. მდებარეობს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთების საგურამო-იალნოს ქედებსა და მათ განშტოებათა ფერდებზე, რომლებიც განედურად გადაჭიმულია მდ. მტკვრიდან მდ. იორამდე, ზ.დ 600-1,700 მ სიმაღლეზე. მისი ფართობია 23,218,28 ჰა. შედგება საგურამოს, გლდანის, მარტყოფის, ღულელებისა და გარდაბნის უბნებისაგან.

საწარმო ტერიტორიიდან თბილისის ეროვნული პარკი მდებარეობს 17 კმ-ის (პირდაპირი მანძილი) დაშორებით, რაც მასზე ზემოქმედებას ფაქტიურად გამორიცხავს.

### 3.7 სოციალურ-ეკონომიკური გარემო

#### 3.7.1 მოსახლეობა

თბილისში 2020 წლის 1 იანვრის მონაცემებით 1,184.8 ათასი კაცი ცხოვრობს. აქედან, საქალაქო დასახლებაში 1,154.3 ათასი კაცი, ხოლო სასოფლო დასახლებაში 30.5 ათასი კაცი ცხოვრობს. როგორც ცხრილი 13-დან ჩანს მოსახლეობის უმეტესობა თავმოყრილია საქალაქო დასახლებაში და 2012 წლიდან მოყოლებული, ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად იზრდება.

რაც შეეხება ქ. თბილისის სასოფლო დასახლებას, 2012 წელთან შედარებით მკვეთრად არ შეცვლილა, თუმცა გაზრდილია 1.2 ათასი კაცით.

ცხრილი 3.9.1 1 მოსახლეობის რაოდენობა

ქ. თბილისი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ	1092.0	1101.2	1115.7	1132.0	1145.5	1158.7	1171.1	1,184.8
საქალაქო დასახლება	1062.5	1071.2	1085.6	1101.7	1115.1	1128.4	1140.7	1,154.3
სასოფლო დასახლება	29.5	30.0	30.1	30.2	30.4	30.3	30.4	30.5


#### 3.7.2 სიღარიბე და უმუშევრობა

საქართველოში და მის დედაქალაქში სიღარიბისა და უმუშევრობის დონე მაღალია. თუმცა, სპეციფიკური სტატისტიკური მონაცემები თბილისში სიღარიბის დონის შესახებ არ არსებობს. ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ბოლო წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე დედაქალაქში დაახლოებით 30% შეადგენდა. 19 თუმცა, უმუშევრობის რეალური მაჩვენებელი უფრო მაღალი უნდა იყოს.

ცხრილი 3.7.2.1 დასაქმება და უმუშევრობა

	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020 I	2020
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	1978,6	1984.6	2018.0	1996.2	1983.1	1939.9	1911.2	1892.7	1919.8
დასაქმებული, ათასი კაცი	1643.4	1694.4	1733.8	1717.3	1706.6	1694.2	1690.2	1667.5	1684.0
უმუშევარი, ათასი კაცი	335.2	290.2	284.2	278.9	276.4	245.7	221.0	225.2	235.9
უმუშევრობის დონე, პროცენტებში	16.9	14.6	14.1	14.0	13.9	12.7	11.6	11.9	12.3

გრაფიკი 3.7.2.1 უმუშევრობის დონე საქართველოში



### 3.7.3 მრეწველობა

თბილისში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი მოცემულია ცხრილში 3.7.3.1.

**ცხრილი 3.7.3.1** თბილისში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი (მიმდინარე ფასებში, მლნ. ლარი)

ქ. თბილისი	2015	2016	2017
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა, მეთევზეობა	0.0	32.1	35.5
მრეწველობა	1,770.6	1,874.2	1,822.9
პროდუქციის გადამუშავება შინამეურნეობების	95.5	95.6	103.0
მშენებლობა	1,488.0	1,531.5	2,221.9
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	3,493.1	3,727.1	4,444.3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	2,267.6	2,306.5	2,395.6
სახელმწიფო მმართველობა	926.1	975.3	1,014.8
განათლება	323.1	363.1	388.8
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	774.9	861.7	893.2
მომსახურების სხვადასხვა სახეები	2,312.0	2,530.2	2,883.0
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში	13,450.9	14,297.5	16,203.0
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	15,560.1	16,600.9	18,948.0

### 3.7.4 კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები

არქეოლოგიური გათხრებით დასტურდება, რომ თბილისის ტერიტორია დასახლებული ყოფილა ჯერ კიდევ ძვ. წ. IV ათასწლეულში. უძველესი წყაროსმიერი მოხსენიება განეკუთვნება IV საუკუნის II ნახევარს, როცა ამ ადგილებში მეფე ვარაზ-ბაკურის დროს ციხე ააგეს.

თბილისის ტერიტორიაზე უამრავი არქეოლოგიური ძეგლია, მაგრამ ისინი არიან კონცენტრირებული მამადავითის, მეტეხის, აბანოთუბნის რაიონებში და უფრო დასავლეთისკენ. საპროექტო ტერიტორიიდან 4 კმ-ზე მეტ მანძილზე მდებარეობს ლოჭინის ნასოფლარი - ადრინდელი ფეოდალური ხანის (IV-VI სს.) არქეოლოგიური ძეგლი მდინარე ლოჭინის მარცხენა ნაპირას, სოფ. გამარჯვების ტერიტორიაზე, თბილისიდან 28 კმ-ზე. სახელი ეწოდა აღმოჩენის ადგილის მიხედვით. 1952 გათხარეს ნასოფლარის ნაწილი. ძეგლი მდებარეობს დაბალ ბორცვზე, დასავლეთიდან ხევი აკრავს, დანარჩენი 3 მხრიდან კი გამაგრებულია 2 მ სიღრმის ხელოვნური თხრილით. გათხრების შედეგად გამოვლინდა სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობანი და მათ შუა არსებული გასასვლელი.

ლიტერატურული მონაცემებით და აგრეთვე ვიზუალური აუდიტის შედეგებზე დაყრდნობით უშუალოდ საწარმოს განთავსების არეალში რაიმე კულტურული ან არქეოლოგიური ძეგლი არ ფიქსირდება.



## 4 ზემოქმედების შეფასება

### 4.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე და ადგილობრივ კლიმატზე

აღსანიშნავია, რომ საწარმო უკვე მოწყობილია და არ იგეგმება სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, დაგეგმილია მხოლოდ ორი ახალი ტექნოლოგიური ხაზის დამატება არსებულ შენობა-ნაგებობებში. აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა გულისხმობს მხოლოდ ასაწყობი ქონსტრუქციების მონტაჟს, რაც განხორციელდება მაქსიმუმ 2-3 კვირის განმავლობაში. შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოების ადგილის, სპეციფიკის და მასშტაბების გათვალისწინებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად მოწყობის ეტაპზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება.

საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ატმოსფერულ ჰაერის დამაბინძურებლად შეიძლება ჩაითვალოს საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარები.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმო ტერიტორიიდან დაშორებულია 200მ სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით.

შემარბილებელი ღონისძიებები:

- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა; ექსპლუატაციის პროცესში საწარმოს სხვადასხვა სექციაში დანადგარების მუდმივი კონტროლი - მონიტორინგი;
- ა/ტრანსპორტი, რომელიც გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ტექნიკურ ნორმებს ვერ დააკმაყოფილებს არ დაიშვება საწარმოო ტერიტორიაზე, რაზეც დაწესდება შესაბამისი მონიტორინგი;
- საშიშროების შემთხვევაში ინსტრუმენტალური გაზომვები. ავტო ტრანსპორტის და სპეც ტექნიკის გამართულ ტექნიკურ მდგომარეობაზე კონტროლი;
- ნარჩენების სწორი მართვა;
- მანქანების ძრავების ჩაქრობა ან მინიმალურ ბრუნზე მუშაობა, როცა არ ხდება მათი გამოყენება;
- ტრანსპორტის მოძრაობის ოპტიმალური სიჩქარის დაცვა (განსაკუთრებით გრუნტიან გზებზე);
- მაქსიმალურად შეიზღუდოს დასახლებულ პუნქტებში გამავალი საავტომობილო გზებით სარგებლობა;
- სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრის აკრძალვა);
- შემარბილებელი ღონისძიებების შესრულებაზე კონტროლი;
- საჭიროებისამებრ (სპეციფიკური სამუშაოების შესრულებისას) პერსონალის უზრუნველყოფა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (რესპირატორები);
- პერსონალის ინსტრუქტაჟი;



- საჩივრების დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.

#### 4.1.1 ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა

საწარმოდან გამოფრქვეული, ატმოსფერული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია: პოლიმერული მტვერი, ტყვია და ვინილქლორიდი. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით. (იხ სიტუაციური სექცმა: 4.1.1)

**გაფრქვევები პლასტიკური ნივთიერების (პოლივინილქლორიდი) მორევისა (გ-1 წყარო) და გრანულირების დანადგარიდან (გ-2 გაფრქვევის წყარო);**

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების წარმოებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.02 გრამი ვინილქლორიდი და მორევისას 0.06 კილოგრამი პოლიმერული მტვერი საათში.

ვინაიდან აღნიშნული დანადგარი საათში გამოუშვებს 600 კგ პროდუქციას და წელიწადში 1200 ტონას, რომლის წლიური მუშაობის ფონდი იქნება 2000 საათი, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

**გ-2 გაფრქვევის წყარო:**

ვინილქლორიდი:

$$M=600 \times 0.02 / 3600 = 0.00333 \text{ გ/წმ};$$

**გ-1 გაფრქვევის წყარო:**

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.06 \times 1000 / 3600 = 0.01667 \text{ გ/წმ};$$

ხოლო წლიური გაფრქვევები ტოლი იქნება:

**გ-2 გაფრქვევის წყარო:**

ვინილქლორიდი:

$$G=1200 \times 1000 \times 0.02 / 106 = 0.024 \text{ ტ/წელ.}$$

**გ-1 გაფრქვევის წყარო:**

პოლიმერული მტვერი:

$$G=0.06 \times 1200 / 103 = 0.072 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები 990კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზიდან N3 (გ-3 გაფრქვევის წყარო).**

ელექტროსადენების წარმოებისას ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი აქვს ექსტრუდერში პოლივინილქლორიდის გრანულების გადნობისას, რომელიც ცხელდება ელექტროენერგიის ხარჯზე, ხდება ბლანტი სახის და მათი საშუალებით იფარება სპილენძისა და ალუმინის მავთულები. ასევე პოლიმერული მტვერი გამოიყოფა მისი ბუნკერებში ჩაყრისას.

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების გაცხელებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.362 გრამი ვინილქლორიდი, 0.0035 გრამი ტყვია და 0.914 გრამი მტვერი.

ვინაიდან დანადგარი 1 საათში მოიხმარს 990 კგ ნედლეულს, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$M=0.362 \times 990 / 3600 = 0.09955 \text{ გ/წმ};$$

ტყვია:

$$M=0.0035 \times 990 / 3600 = 0.0009625 \text{ გ/წმ};$$

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.914 \times 990 / 3600 = 0.25135 \text{ გ/წმ};$$

რადგან ერთი დანადგარი დღეში მუშაობს 2 საათი, ანუ წელიწადში 500 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევა შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$G=0.09955 \times 500 \times 3600 / 106 = 0.179 \text{ ტ/წელ.}$$

ტყვია:

$$G=0.0009625 \times 500 \times 3600 / 106 = 0.00173 \text{ ტ/წელ.}$$

პოლიმერული

$$G=0.25135 \times 500 \times 3600 / 106 = 0.452 \text{ ტ/წელ.}$$

### **გაფრქვევები 230 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზიდან N5 (გ-4 გაფრქვევის წყარო).**

ელექტროსადენების წარმოებისას ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი აქვს ექსტრუდერში პოლივინილქლორიდის გრანულების გადნობისას, რომელიც ცხელდება ელექტროენერჯის ხარჯზე, ხდება ბლანტი სახის და მათი საშუალებით იფარება სპილენძისა და ალუმინის მავთულები. ასევე პოლიმერული მტვერი გამოიყოფა მისი ბუნკერებში ჩაყრისას.

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების გაცხელებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.362 გრამი ვინილქლორიდი, 0.0035 გრამი ტყვია და 0.914 გრამი მტვერი.

ვინაიდან დანადგარი 1 საათში მოიხმარს 230 კგ ნედლეულს, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$M=0.362 \times 230 / 3600 = 0.023128 \text{ გ/წმ};$$

ტყვია:

$$M=0.0035 \times 230 / 3600 = 0.0002236 \text{ გ/წმ};$$

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.914 \times 230 / 3600 = 0.058394 \text{ გ/წმ};$$

რადგან ერთი დანადგარი დღეში მუშაობს 9 საათი, ანუ წელიწადში 2250 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევა შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$G=0.023128 \times 2250 \times 3600 / 106 = 0.187 \text{ ტ/წელ.}$$

ტყვია:

$$G=0.0002236 \times 2250 \times 3600 / 106 = 0.00181 \text{ ტ/წელ.}$$

პოლიმერული მტვერი:

$$G=0.058394 \times 2250 \times 3600 / 106 = 0.473 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები 350 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზიდან N6 (გ-5 გაფრქვევის წყარო).**

ელექტროსადენების წარმოებისას ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი აქვს ექსტრუდერში პოლივინილქლორიდის გრანულების გადნობისას, რომელიც ცხელდება ელექტროენერგიის ხარჯზე, ხდება ბლანტი სახის და მათი საშუალებით იფარება სპილენძისა და ალუმინის მავთულები. ასევე პოლიმერული მტვერი გამოიყოფა მისი ბუნკერებში ჩაყრისას.

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების გაცხელებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.362 გრამი ვინილქლორიდი, 0.0035 გრამი ტყვია და 0.914 გრამი მტვერი.

ვინაიდან დანადგარი 1 საათში მოიხმარს 350 კგ ნედლეულს, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$M=0.362 \times 350 / 3600 = 0.035194 \text{ გ/წმ;}$$

ტყვია:

$$M=0.0035 \times 350 / 3600 = 0.00034 \text{ გ/წმ;}$$

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.914 \times 350 / 3600 = 0.088861 \text{ გ/წმ;}$$

რადგან ერთი დანადგარი დღეში მუშაობს 2 საათი, ანუ წელიწადში 500 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევა შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$G=0.035194 \times 500 \times 3600 / 106 = 0.063 \text{ ტ/წელ.}$$

ტყვია:

$$G=0.00034 \times 500 \times 3600 / 106 = 0.000613 \text{ ტ/წელ.}$$

პოლიმერული მტვერი:

$$G=0.088861 \times 500 \times 3600 / 106 = 0.160 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები 165 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზიდან N1 (გ-6 გაფრქვევის წყარო).**

ელექტროსადენების წარმოებისას ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი აქვს ექსტრუდერში პოლივინილქლორიდის გრანულების გადნობისას, რომელიც ცხელდება ელექტროენერგიის ხარჯზე, ხდება ბლანტი სახის და მათი საშუალებით იფარება სპილენძისა და ალუმინის მავთულები. ასევე პოლიმერული მტვერი გამოიყოფა მისი ბუნკერებში ჩაყრისას.

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების გაცხელებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.362 გრამი ვინილქლორიდი, 0.0035 გრამი ტყვია და 0.914 გრამი მტვერი.

ვინაიდან დანადგარი 1 საათში მოიხმარს 165 კგ ნედლეულს, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$M=0.362 \times 165 / 3600 = 0.016592 \text{ გ/წმ};$$

ტყვია:

$$M=0.0035 \times 165 / 3600 = 0.00016 \text{ გ/წმ};$$

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.914 \times 165 / 3600 = 0.041892 \text{ გ/წმ};$$

რადგან ერთი დანადგარი დღეში მუშაობს 4 საათი, ანუ წელიწადში 1000 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევა შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$G=0.016592 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.060 \text{ ტ/წელ.}$$

ტყვია:

$$G=0.00016 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.0005775 \text{ ტ/წელ.}$$

პოლიმერული მტვერი:

$$G=0.041892 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.151 \text{ ტ/წელ.}$$

### **გაფრქვევები 150 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზიდან N2 (გ-7 გაფრქვევის წყარო).**

ელექტროსადენების წარმოებისას ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი აქვს ექსტრუდერში პოლივინილქლორიდის გრანულების გადნობისას, რომელიც ცხელდება ელექტროენერჯის ხარჯზე, ხდება ბლანტი სახის და მათი საშუალებით იფარება სპილენძისა და ალუმინის მავთულები. ასევე პოლიმერული მტვერი გამოიყოფა მისი ბუნკერებში ჩაყრისას.

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების გაცხელებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.362 გრამი ვინილქლორიდი, 0.0035 გრამი ტყვია და 0.914 გრამი მტვერი.

ვინაიდან დანადგარი 1 საათში მოიხმარს 150 კგ ნედლეულს, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$M=0.362 \times 150 / 3600 = 0.015083 \text{ გ/წმ};$$

ტყვია:

$$M=0.0035 \times 150 / 3600 = 0.000146 \text{ გ/წმ};$$

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.914 \times 150 / 3600 = 0.038083 \text{ გ/წმ};$$

რადგან ერთი დანადგარი დღეში მუშაობს 4 საათი, ანუ წელიწადში 1000 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევა შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$G=0.015083 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.054 \text{ ტ/წელ.}$$

ტყვია:

$$G=0.000146 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.000525 \text{ ტ/წელ.}$$

პოლიმერული მტვერი:

$$G=0.038083 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.137 \text{ ტ/წელ.}$$

**გაფრქვევები 60 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზიდან N4 (გ-8 გაფრქვევის წყარო).**

ელექტროსადენების წარმოებისას ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გამოყოფას ადგილი აქვს ექსტრუდერში პოლივინილქლორიდის გრანულების გადნობისას, რომელიც ცხელდება ელექტროენერჯის ხარჯზე, ხდება ბლანტი სახის და მათი საშუალებით იფარება სპილენძისა და ალუმინის მავთულები. ასევე პოლიმერული მტვერი გამოიყოფა მისი ბუნკერებში ჩაყრისას.

ყოველ 1 კგ პოლივინილქლორიდის გრანულების გაცხელებისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.362 გრამი ვინილქლორიდი, 0.0035 გრამი ტყვია და 0.914 გრამი მტვერი.

ვინაიდან დანადგარი 1 საათში მოიხმარს 60 კგ ნედლეულს, ამიტომ გაფრქვევების ინტენსივობები შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$M=0.362 \times 60 / 3600 = 0.006033 \text{ გ/წმ;}$$

ტყვია:

$$M=0.0035 \times 60 / 3600 = 0.000058 \text{ გ/წმ;}$$

პოლიმერული მტვერი:

$$M=0.914 \times 60 / 3600 = 0.015233 \text{ გ/წმ;}$$

რადგან ერთი დანადგარი დღეში მუშაობს 4 საათი, ანუ წელიწადში 1000 საათი, ამიტომ წლიური გაფრქვევა შესაბამისად ტოლი იქნება:

ვინილქლორიდი:

$$G=0.006033 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.022 \text{ ტ/წელ.}$$

ტყვია:

$$G=0.000058 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.00021 \text{ ტ/წელ.}$$

პოლიმერული მტვერი:

$$G=0.015233 \times 1000 \times 3600 / 106 = 0.055 \text{ ტ/წელ.}$$



#### 4.1.2 მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

ფორმა #1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება

წარმოების, საამქროს, უბნის დასახელება	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს			მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს					მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, ტ/წელი
	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	ნომერი	დასახელება	რაოდენობა	მუშაობის დრო დღე-ღამეში	მუშაობის დრო წელიწად.	დასახელება	კოდი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
პლასტიკური მასალის (პოლივინილქლორიდის გრანულები) ელექტროკაბელების წარმოება	გ-1	გამწოვი მილი	1	#1	მორევის დანადგარი	1	8	2000	პოლიმერული მტვერი	988	0.072
	გ-2	გამწოვი მილი	1	#2	გრანულატორი	1	8	2000	ვინილქლორიდი	744	0.024
	გ-3	გამწოვი მილი	1	#3	990კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	1	2	500	პოლიმერული მტვერი	988	0.452
									ვინილქლორიდი	744	0.179
									ტყვია	184	0.00173
	გ-4	გამწოვი მილი	1	#4	230კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	1	9	2250	პოლიმერული მტვერი	988	0.473
									ვინილქლორიდი	744	0.187
									ტყვია	184	0.00181
	გ-5	გამწოვი მილი	1	#5	350კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	1	2	500	პოლიმერული მტვერი	988	0.160
									ვინილქლორიდი	744	0.063
									ტყვია	184	0.000613





ფორმა #1. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
პლასტიკური მასალის (პოლივინილ-ქლორიდის გრანულები) ელექტროკაბელების წარმოება	გ-6	გამწოვი მილი	1	#6	165კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	1	4	1000	პოლიმერული მტვერი	988	0.151
									ვინილქლორიდი	744	0.060
									ტყვია	184	0.0005775
	გ-7	გამწოვი მილი	1	#7	150კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	1	4	1000	პოლიმერული მტვერი	988	0.137
									ვინილქლორიდი	744	0.054
									ტყვია	184	0.000525
	გ-8	გამწოვი მილი	1	#8	60კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	1	4	1000	პოლიმერული მტვერი	988	0.055
									ვინილქლორიდი	744	0.022
									ტყვია	184	0.00021



ფორმა #2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება

მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს ნომერი	მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს პარამეტრები		აირჰერნარევის პარამეტრები მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს გამოსავლის ადგილიდან			მავნე ნივთიერების კოდი	გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა			ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროს კოორდინატები ობიექტის კოორდინატა სისტემაში, მ					
	სიმაღლე	დიამეტრი ან კვეთის ზომა,	სიჩქარე მ/წმ	მოცულობითი ხარჯი, მ <sup>3</sup> /წმ	ტემპერატურა, °C		გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ	X	Y	წერტილოვანი წყაროსათვის		ხაზოვანი წყაროსათვის	
												ერთი ბოლოსათვის	მეორე ბოლოსათვის	X <sub>1</sub>	Y <sub>1</sub>
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გ-1	12.0	0.32	38.528	3.097	28	988	0.0054	0.01667	0.072	0	0				
გ-2	12.0	0.32	12.851	1.033	28	744	0.0032	0.00333	0.024	5	0				
გ-3	12.0	0.415	20.955	2.833	28	988	0.0887	0.25135	0.452	19	0				
						744	0.03514	0.09955	0.179						
						184	0.00034	0.0009625	0.00173						
გ-4	12.0	0.415	26.709	3.611	28	988	0.0162	0.058394	0.473	62	-10				
						744	0.0064	0.023128	0.187						
						184	0.000062	0.0002236	0.00181						
გ-5	12.0	0.415	28.151	3.806	28	988	0.0233	0.088861	0.160	25	4				
						744	0.0092	0.035194	0.063						
						184	0.000089	0.00034	0.000613						



ფორმა #2. მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების დახასიათება (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16
გ-6	12.0	0.315	36.371	2.833	28	988	0.0148	0.041892	0.151	48	6				
						744	0.0059	0.016592	0.060						
						184	0.000056	0.00016	0.0005775						
გ-7	12.0	0.315	29.952	2.333	28	988	0.0163	0.038083	0.137	18	23				
						744	0.0065	0.015083	0.054						
						184	0.000063	0.000146	0.000525						
გ-8	12.0	0.315	29.952	2.333	28	988	0.0065	0.015233	0.055	20	22				
						744	0.0026	0.006033	0.022						
						184	0.000025	0.000058	0.00021						

ფორმა #3. აირმტვერდამჭერი მოწყობილობების მუშაობის მაჩვენებლები

მავნე ნივთიერებათა			აირმტვერდამჭერი მოწყობილობის		მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია, გ/მ <sup>3</sup>		აირმტვერდამჭერი მოწყობილობის გაწმენდის კხარისხი %	
გამოყოფის წყაროს ნომერი	გაფრქვევის წყაროს ნომერი	კოდი	დასახელება	რაოდენობა ცალი	გაწმენდამდე	გაწმენდის შემდეგ	საპროექტო	ფაქტიური
1	2	3	4	5	6	7	8	9




**ფორმა #4. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, მათი გაწმენდა და უტილიზირება, ტ/წელი**

მავნე ნივთიერებათა		გამოყოფის წყაროებიდან წარმოქმნილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა, (სვ.4+სვ.6)	მათ შორის		გასაწმენდად შემოსულიდან დაჭერილი და გაუვნებელყოფილი		სულ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა (სვ.3-სვ.7)	მავნე ნივთიერებათა დაჭერის პროცენტი გამოყოფილთან შედარებით, (სვ.7/სვ.3)•100	
			გაფრქვეულია გარეშე	სულ მოხვდა გამწმენდი მოწყობილობაში	სულ	მათ შორის			
კოდი	დასახელება		სულ	მათ შორის ორგანიზებული გამოყოფის წყაროებიდან		სულ	უტილიზირებულია		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
988	პოლიმერული მტვერი	1.500	1.500	-	-	-	-	1.500	-
744	ვინილქლორიდი	0.589	0.589	-	-	-	-	0.589	-
184	ტყვია	0.005466	0.005466	-	-	-	-	0.005466	-

რადგან უახლოესი დასახლებული პუნქტი საწარმოს ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია 200 მეტრში, ამიტომ გაანგარიშებული ემისიების შესაბამისად, ჰაერის ხარისხის მოდელირება შესრულდება ობიექტის 200 მეტრიან რადიუსზე წყაროებიდან შემდეგ წერტილებში - (0; 200); (0; -200); (200; 0); (-200; 0).

**ცხრილი 4.1.2.1** მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის ძირითადი შედეგები

მავნე ნივთიერებათა დასახელება	მავნე ნივთიერებათა ზღვ-ის წილი ობიექტიდან			
	უახლოეს დასახლებული პუნქტის კოორდინატები			
	(200; 0)	(0; 200)	(0; -200)	(-200; 0)
1	2	3	4	5
პოლიმერული მტვერი	0.08 ზღვ	0.08 ზღვ	0.08 ზღვ	0.07 ზღვ
ვინილქლორიდი	0.32 ზღვ	0.31 ზღვ	0.30 ზღვ	0.30 ზღვ
ტყვია	0.30 ზღვ	0.29 ზღვ	0.28 ზღვ	0.28 ზღვ

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები თითოეული გაფრქვევის წყაროსთვის წარმოდგენილია ცხრილ 4.1.2.2-ში.

**ცხრილი 4.1.2.2**

ზღვ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში თითოეული გაფრქვევის წყაროსათვის და თითოეული მავნე ნივთიერებისათვის

გამოყოფის წყაროს დასახელება	გაფრქვევის წყაროს ნომერი	ზღვ-ს ნორმები 2022 – 2027 წლებისათვის		
		გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ
1	2	3	4	5
<b>პოლიმერული მტვერი</b>				
მორევის დანადგარი	გ-1	0.0054	0.01667	0.072
990 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-3	0.0887	0.25135	0.452
230 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-4	0.0162	0.058394	0.473
350 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-5	0.0233	0.088861	0.160
165 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-6	0.0148	0.041892	0.151

ქ.თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, ელექტროკაბელებისა და პლასტიკური მასალის პოლივინილქლორიდის გრანულების წარმოების პროექტი

150 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-7	0.0163	0.038083	0.137
60 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-8	0.0065	0.015233	0.055
სულ:		0.1712	0.510483	1.500
ვინილქლორიდი				
გრანულატორი	გ-2	0.0032	0.00333	0.024
990 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-3	0.03514	0.09955	0.179
230 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-4	0.0064	0.023128	0.187
350 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-5	0.0092	0.035194	0.063
165 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-6	0.0059	0.016592	0.060
150 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-7	0.0065	0.015083	0.054
60 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-8	0.0026	0.006033	0.022
სულ:		0.06894	0.19891	0.589
ტყვია				
990 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-3	0.00034	0.0009625	0.00173
230 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-4	0.000062	0.0002236	0.00181
350 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-5	0.000089	0.00034	0.000613
165 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-6	0.000056	0.00016	0.0005775
150 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-7	0.000063	0.000146	0.000525
60 კგ/სთ წარმადობის საიზოლაციო ხაზი	გ-8	0.000025	0.000058	0.00021
სულ:		0.000635	0.0018901	0.005466



ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის წარმოდგენილია ცხრილ 4.1.2.3-ში.

**ცხრილი 4.1.2.3.** ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის

მავნე ნივთიერებების დასახელება	ზდგ-ს ნორმები 2022– 2027 წლებისათვის		
	გ/მ <sup>3</sup>	გ/წმ	ტ/წელ
1	2	3	4
პოლიმერული მტვერი	0.1712	0.510483	1.500
ვინილქლორიდი	0.06894	0.19891	0.589
ტყვია	0.000635	0.0018901	0.005466



სიტუაციური რუკა 4.1.1 - გაფრქვევის წყაროების მითითებით






რუკა 4.1.2 საპროექტო ტერიტორიის გენ-გეგმა გაფრქვევის წყაროს მითითებით

### საწარმოში განთავსებული დანადგარების გეგმა (დაგეგმილი ცვლილებებით)

გაფრქვევის წერტილები:

- ✱ - ექსტრუდერები
- ✱ - ფხვნილის ჩაყრის წერ
- ✱ - გამაგრილებელი ავზები
- - კომპრესორი
- - ტრანსფორმატორი





#### 4.2 აკუსტიკური ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება

საწარმოში დაგეგმილი ცვლილებების ეტაპზე არ ხდება სამშენებლო სამუშაოების წარმოება (მიწის სამუშაოები, ბეტონის კვანძის ან სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროს მოწყობა), პროექტით დაგეგმილია არსებულ ტერიტორიაზე განთავსებულ შენობებში დაამატოს ახალი ტექნოლოგიური ხაზები. კერძოდ მავთულის გამწვანები დანადგარი და კაბელების დაფასოების საამქრო, რომელიც ითვალისწინებს მხოლოდ ქონსტრუქციების აწყობას და მონტაჟს. აღნიშნული ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა მოხდება მაქსიმუმ 2-3 კვირის განმავლობაში. შესაბამისად დაგეგმილი სამუშაოების სპეციფიკიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე, აკუსტიკური ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. შესაბამისად მოწყობის ეტაპზე შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება.

საწარმოს მუშაობის სპეციფიკიდან და დაგეგმილი ტექნოლოგიური ხაზების ექსპლუატაციაში გამვების შემდგომ აკუსტიკური ხმაურის წყაროებს წარმოადგენს ტრანსპორტის მოძრაობა და მანქანა-დანადგარების მუშაობა.

მოცემული პროექტის ფარგლებში ხმაურის გავრცელებით გამოწვეულ უარყოფითი ზემოქმედების რისკებს ამცირებს და მოსახლეობაზე ზემოქმედებას გამორიცხავს, შემდეგი ფაქტორები:

- ინტენსიური ხმაურის წარმომქმნელი სამუშაოები წარმოებს მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურის გამომწვევი ძირითადი წყაროების ერთდროულად არ მუშაობს;
- ხმაურის წარმომქმნელი დანადგარები განთავსებულია შენობა-ნაგებობებში;

ამასთან, საწარმოდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 200 მეტრით სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ტრანსპორტით და სპეციალური ტექნიკით გამოწვეული აკუსტიკური ხმაური სრულად აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს N398 „ტექნიკური რეგლამენტი – „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ“ დადგენილების მოთხოვნებს.

ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ხმაურის წყაროებსა და საცხოვრებელ პუნქტს შორის არსებობს ბუნებრივი და ხელოვნური ეკრანები (ღობე, ხე-მცენარეები, საავტომობილო გზა), რომლებიც ხმაურის გავრცელებას დამატებით ამცირებს.

ექსპლუატაციის პროცესში აკუსტიკური ხმაურის გავრცელება, ასევე შესაძლოა გამოწვეული იყოს მანქანა-დანადგარების გეგმიური სარემონტო სამუშაოების განხორციელების დროს, თუმცა აღნიშნული სამუშაოები განხორციელდება პერიოდულად, რომელსაც არ ექნება ინტენსიური სახე და არ მოითხოვს დიდ დროს და ადამიანურ რესურსს.

უშუალოდ ობიექტზე აკუსტიკური ხმაურის ზემოქმედების პოტენციურ ობიექტად ადგილზე მომუშავე მუშა მოსამსახურეები განიხილება. ამ შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოფილია სამუშაო პროცესში მუშა პერსონალისთვის აკუსტიკური ხმაურისგან დამცავი საშუალებების გამოყენება.

**ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ხმაურის ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელო.**

ხმაურის გავრცელების დონეების მინიმუმაციის მიზნით მიზანშეწონილია გატარდეს შემდეგი შემარბილებელი ღონისძიებები:

- მანქანა-დანადგარების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა;
- შესაძლებლობისამებრ ხმაურიანი სამუშაოების წარმოება მხოლოდ დღის საათებში;
- ხმაურიანი სამუშაოების პერიოდის განსაზღვრა, ეკოლოგიური საკითხების გათვალისწინებით;
- სიფრთხილის ზომების მიღება (მაგ. დატვირთვა გადმოტვირთვისას დიდი სიმაღლიდან მასალის დაყრის აკრძალვა);
- მომსახურე პერსონალს პერიოდულად ჩაუტარდება შესაბამის საკითხზე სწავლება/ტრენინგები. მომსახურე პერსონალი აღიჭურვება ინდივიდუალური დამცავი საშუალებებით (ყურსაცმეები);
- ხმაურიან სამუშაოებზე დასაქმებული პერსონალის ხშირი ცვლა;
- პერსონალის ინსტრუქტაჟი სამუშაოების დაწყებამდე და შემდგომ 6 თვეში ერთხელ;
- საჩივრების შემოსვლის შემთხვევაში მათი დაფიქსირება/აღრიცხვა და სათანადო რეაგირება.



სქემა 4.2.1 სიტუაციური სქემა-უახლოესი დასახლებული პუნქტი







#### 4.3 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე, ნიადაგის და გრუნტის დაბინძურების რისკი

საწარმო განთავსებულია ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე, რომელიც მთლიან პერიმეტრზე მდგრადია და დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში იმყოფება. საწარმოს ტერიტორია მდებარეობს 8 ბალიან (MSK 64 სკალა) სეისმურ ზონაში.

საწარმოს ტერიტორიაზე დღევანდელი მდგომარეობით თანამედროვე საშიში გეოდინამიკური პროცესების გამოვლენა და მათ მიერ დატოვებული ან საგრძნობლად შეცვლილი რელიეფის ფორმები არ ფიქსირდება და არც მისი მომავალში წარმოშობის რაიმე საშიშროება არსებობს.

არსებული საწარმოს ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპური ტექნოგენური ლანდშაფტი.

რაც შეეხება, პროექტით გათვალისწინებულ ცვლილებებს დაგეგმილია მხოლოდ ახალი ტექნოლოგიური ხაზების (მავთულის გამწნეხი დანადგარი და კაბელების დაფასოების საამქრო) მოწყობა საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებში, ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა არ ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებს, შესაბამისად პროექტით დაგეგმილი ცვლილების ფარგლებში რაიმე გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკი მოსალოდნელი არ არის.

პროექტით დაგეგმილი ტექნოლოგიური ხაზების მოწყობის სპეციფიკის და განთავსების ადგილის გათვალისწინებით ნიადაგის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. ასევე, აღსანიშნავია საწარმოს ტერიტორიაზე ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენა არ გვხვდება, ხოლო რაც შეეხება გრუნტის დაბინძურებას, საწარმოს ტერიტორია უმეტეს ნაწილზე (სადაც ხდება კაბელების დასაწყობება და ავტოტრანსპორტის გადაადგილება) მოპირკეთებულია ბეტონის საფარით შესაბამისად შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში შესაძლებელია მოსალოდნელი ზემოქმედების (ტექნიკიდან საწვავის ავარიულად დაღვრა, ნარჩენების არასწორი მენეჯმენტი) მინიმუმამდე დაყვანა.

ნიადაგზე/გრუნტზე მავნე ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, საწარმოს მიერ გატარდება შემდეგი სახის ღონისძიებები:

- მანქანებისა და დანადგარების რეგულარულად შემოწმება. დაზიანების და საწვავის/ზეთის ჟონვის დაფიქსირებისას დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს დაზიანების შეკეთება. დაზიანებული მანქანები სამუშაო მოედანზე არ დაიშვებიან;
- დაცული იქნება ზეთების შენახვა-გამოყენების წესები;
- სამუშაო უბნებზე მანქანების/ტექნიკის საწვავით გამართვის ან/და ტექმომსახურების აკრძალვა. თუ ამის გადაუდებელი საჭიროება იქნა, ეს უნდა მოხდეს დაღვრის თავიდან აცილებისთვის განსაზღვრული უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებით;
- დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი მასალის ლოკალიზაცია და დაბინძურებული უბნის დაუყოვნებლივი გაწმენდა. პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი საშუალებებით (აბსორბენტები, ნიჩბები, სხვა.) და პირადი დაცვის საშუალებებით;
- დაბინძურებული საფარი შემდგომი რემედიაციისათვის ტერიტორიიდან გატანილი უნდა იქნას ამ საქმიანობაზე ნებართვის მქონე კონტრაქტორის მიერ.

- საწარმოს სახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა მოხდება კომპანიის მიერ შემუშავებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად (იხ. შესაბამისი დანართი).

#### 4.4 ზემოქმედება ზედაპირული წყლების ხარისხზე

საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს ზედაპირული წყლის ობიექტს წარმოადგენს ნავთისხევი. რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 500 მ დაშორებით მდებარეობს.

საწარმოში წყლის გამოყენება საწარმოო ციკლის დროს ხდება მხოლოდ დამზადებულ კაბელზე დასხმული საიზოლაციო მასალის გასაგრილებლად, რომლისთვისაც მოწყობილია გაგრილების სისტემა წყლის ბრუნვითი ციკლით. საწარმოს ტერიტორიაზე დამონტაჟებულია მიწისქვეშა 40 ტონიანი ავზი და შხეფმაცივარი. წყლის გამოყენება ხდება დახურული ციკლით და წყალი ცირკულირებს რეზერვუარსა და საწარმოო ხაზს შორის, შესაბამისად, აღნიშნული პროცესის დროს წყლის დაბინძურება არ ხდება და ხდება მხოლოდ მისი მექანიკურ ფილტრაციაში გატარება.

ასევე, არ ხდება ჩამდინარე საწარმოო წყლის წარმოქმნა, რადგან როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გაგრილების სისტემა ფუნქციონირებს წყლის ბრუნვითი ციკლით.

სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხდება არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ“-თან (აბონენტის ნომერი: 751052765) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ტერიტორია მოწყობილია კაპიტალურად, ტერიტორია უმეტეს ნაწილზე (სადაც ხდება კაბელების დასაწყობება და ავტოტრანსპორტის გადაადგილება) დაფარულია ბეტონის საფარით, უზრუნველყოფილია სანიაღვრე წყლების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაედინება არსებულ სანიაღვრე სისტემაში.

**ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ზედაპირულ წყლებზე და მათ ხარისხზე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება პრაქტიკულად გამორიცხულია.**

#### 4.5 ზემოქმედება მიწისქვეშა / გრუნტის წყლებზე

მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შეფასება ითვალისწინებს შემდეგს:

- 1) მიწისქვეშა წყლების დაბინძურება პირდაპირი გზით, მაგ: მიწის სამუშაოებისას საწვავის ავარიული დაღვრისას მისი დაბინძურება;
- 2) მიწისქვეშა წყლების ირიბი დაბინძურება, მაგ: დაბინძურებული ნიადაგიდან, ატმოსფერული ნალექებით დამაბინძურებლების ღრმა ფენებში გადატანა და შემდგომ გრუნტის წყლების დაბინძურება.

საწარმოს ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული ტექნიკა-დანადგარები განთავსებულია არსებულ ბეტონის საფარით მოპირკეთებულ შენობა-ნაგებობაში.

პროექტით დაგეგმილი ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა იგეგმება საწარმოს ტერიტორიაზე არსებულ ბეტონის საფარის მქონე შენობებში, ამასთან ერთად საწარმოს გარე პერიმეტრიც

დაფარულია ბეტონის საფარით. ავტოტრანსპორტის საწვავით გამართვა ან/და ტექნომსახურება მოხდება შესაბამისს საამქოროში ან ტექნიკური მომსახურების ცენტრებში. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით პროექტით დაგეგმილი დამატებით ტექნოლოგიური ხაზები მოწყობისას და საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში ზეთი და საპოხი მასალები ავარიული დაღვრისას გრუნტის წყლების პირდაპირი ან ირიბი დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

ამასთან, საწარმოს შენობა მოწყობილია კაპიტალურად და უზრუნველყოფილია სანიაღვრე წყლების მართვისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა, ხოლო, სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხდება არსებულ საკანალიზაციო კოლექტორში, „ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ“-თან (აბონენტის ნომერი: 751052765) გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

#### 4.6 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საწარმო და მისი მიმდებარე ტერიტორიები ურბანიზებულია, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში განიცდიდენ მნიშვნელოვან ანთროპოგენურ ზემოქმედებას. საწარმოს ტერიტორიაზე მრავალწლიანი ხე-მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ - საწარმოს და მიმდებარე არეალის მაღალი ტექნოგენური დატვირთვიდან გამომდინარე, ტერიტორია შეუძლებელია ჩაითვალოს გარეული ცხოველების რომელიმე სახეობის საბინადრო ადგილად. ამასთან საწარმოს ტერიტორია შემოღობილია ბეტონის კედლით.

**აღნიშნულის გათვალისწინებით ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.**

#### 4.7 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საწარმო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია თბილისის ეროვნული პარკი დაშორებულია 17 კმ-ის დაშორებით, აქედან გამომდინარე რაიმე სახის უარყოფითი ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე მოსალოდნელი არ არის.

#### 4.8 ვიზუალურ-ლანდშაფტური ზემოქმედება

საწარმოს ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას, რის გამოც ჩამოყალიბებულია ტიპიური ტექნოგენური ლანდშაფტი, შესაბამისად აღნიშნულ ტერიტორიებს რაიმე ლანდშაფტური ღირებულება არ გააჩნიათ.

პროექტით არ არის გათვალისწინებული რაიმე სახის სამშენებლო სამუშაოების ჩატარება, პროექტით დაგეგმილი დამატებითი ტექნოლოგიური ხაზები და არსებული ტექნოლოგიური ხაზის კომპონენტები განთავსებულია შენობებში, რომლებიც მდებარეობს შემოღობილ სამეურნეო ეზოში, შესაბამისად ნარჩენების არასწორი მართვის შემთხვევაშიც კი, ვიზუალურ რეცეპტორებზე უარყოფითი ზემოქმედება იქნება მინიმალური.

გარდა ამისა, ტერიტორიიდან 200მ. მანძილით არის დაცილებული ვიზუალური რეცეპტორებისგან (მოსახლეობა, საავტომობილო გზა (30 მ.) და სხვ.) და სცდება მათი თვალთახედვის არეს.

ზემოქმედების შერბილება შესაძლებელია:

- მასალების და ნარჩენების ისე განთავსება, რომ ნაკლებად შესამჩნევი იყოს ვიზუალური რეცეპტორებისთვის.

#### 4.9 ნარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება

საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოიქმნება მნიშვნელოვანი რაოდენობის არასახიფათო და სახიფათო ნარჩენები.

საწარმოს ნარჩენების მართვის სტრატეგია და გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტექნოლოგიურ თავისებურებებს და შესაბამისი გადაწყვეტილებები მიღებულია საქართველოსა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვით და ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით.

წარმოქმნილი ნარჩენების მართვის პირობების დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს რიგი უარყოფითი ზემოქმედებები გარემოს სხვადასხვა რეცეპტორებზე, მაგალითად:

- ნარჩენების არასწორ მართვას (წყალში გადაყრა, ტერიტორიაზე მიმოფანტვა) შესაძლოა მოჰყვეს გარემოს დაბინძურება, ასევე ტერიტორიის სანიტარული მდგომარეობის გაუარესება, უარყოფითი ვიზუალური ცვლილებები, მოსახლეობის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ნეგატიური ზემოქმედება და ა.შ.;
- ნარჩენების არასათანადო ადგილას განთავსება შესაძლოა გახდეს გზების ჩახერგვის მიზეზი, შესაძლოა გამოიწვიოს ეროზიული პროცესები და ა.შ.

საწარმოს საქმიანობის შედეგად ძირითადად წარმოექმნება 4 კატეგორიის ნარჩენი:

1. ალუმინისა და სპილენძის მეტალის ნარჩენი - შპს "თი ერ სი" ახორციელებს სპილენძისა და ალუმინის ნარჩენი პროდუქციის შესყიდვას გარკვეული პერიოდულობით.
2. საიზოლაციო ნარჩენი - შპს "თბილსერვის ჯგუფი" ახორციელებს გამოყენებისათვის უვარგისი საიზოლაციო მასალის ნარჩენების განადგურება\_დამარხვის მომსახურებას.
3. კაბელის ნარჩენი - გაყიდვა
4. სახიფათო ნარჩენებიდან კომპანიას წარმოექმნება:
  - ჰიდრაულიკური ზეთები;
  - დანადგარების შეკეთების შედეგად საკოხი მასალებით დაბინძურებული ჩვრები;
  - ზეთებით დაბინძურებული ნახერხი და
  - წარმოებისთვის შემოტანილი ქიმიური ნივთიერებების შესაფუთი მასალები.

ნარჩენების გატანა/ტრანსპორტირებას ახორციელებს შპს "სანიტარი".

საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროებითი განთავსება ხდება სპეციალური კონტეინერში და შემდგომ, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ტერიტორიიდან ხდება მისი გატანა ადგილობრივ ნაგავსაყრელზე.

ვინაიდან საწარმოში ექსპლუატაციისას წარმოიქმნება 120 კგ-ზე მეტი სახიფათო ნარჩენი, შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ უზრუნველყოფს ნარჩენების მართვის განახლებული გეგმის შემუშავებას, რომელიც წარედგინება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესათანხმებლად (იხ. შესაბამისი დანართი).

ნარჩენების მართვის გეგმით გათვალისწინებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ ნარჩენებით გარემოზე ზემოქმედება იქნება დაბალი.

შემარბილებელი ღონისძიებები

- ნარჩენები განთავსდება ისე, რომ ადგილი არ ქონდეს ეროზიას და არ მოხდეს ზედაპირული ჩამონადენით მათი სამუშაო მოედნიდან გატანა;
- ნარჩენების შეგროვებისთვის შესაბამის ადგილებში განთავსებულია სპეციალური მარკირების მქონე ჰერმეტიკული კონტეინერები;
- სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის გამოიყოფა სპეციალური სასაწყობე სათავსი:
  - სახიფათო ნარჩენების შეგროვებისთვის შესაბამის ადგილებში განთავსდება სპეციალური მარკირების მქონე ჰერმეტიკული კონტეინერები;
  - სათავსს ექნება სათანადო აღნიშვნა და დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან;
  - სათავსის იატაკი და კედლები მოპირკეთებული იქნება მყარი საფარით;
  - სათავსში ნარჩენების განთავსება მოხდება მხოლოდ ჰერმეტიკულ ტარაში შეფუთულ მდგომარეობაში, რომელსაც ექნება სათანადო მარკირება
- სამუშაოების დაწყებამდე პერსონალს ჩაუტარდება ინსტრუქტაჟი.

ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო მომზადების მქონე პერსონალი, რომელთაც პერიოდულად ჩაუტარდება შესაბამისი ტრენინგი.



#### 4.10 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

საწარმოს მიმდებარედ რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ გვხვდება და არც ლიტერატურული წყაროებით არ არის აღწერილი. ვინაიდან პროექტით დაგეგმილი ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა არ ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას (გრუნტის ექსკავირებას) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ზემოქმედების რისკი მოსალოდნელი არ არის და არც რაიმე შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას საჭიროებს.

#### 4.11 ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე

##### 4.11.1 დასაქმება და მასთან დაკავშირებული ზემოქმედებები

მიმდინარე საქმიანობის პროცესში დასაქმებულია 60 ადამიანი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა ქალაქ თბილისიდანაა. ზემოქმედება დადებითი ხასიათისაა და ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობის მუდმივი სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფისა და ეკონომიკური კეთილდღეობის ამაღლების საქმეში.

##### 4.11.2 სატრანსპორტო ნაკადებზე ზემოქმედება

ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოო ტერიტორიაზე ნედლეულის შემოტანა და წარმოებული პროდუქციის გატანა ხდება კვირის განმავლობაში პერიოდულად სატვირთო ავტომობილების დახმარებით. ტრანსპორტირებისათვის გამოყენებულია შედარებით მცირე ტვირთამწეობის სატვირთო ავტომობილები, რომლის ტვირთამწეობა არ აღემატება 3 ტონას თითო სატრანსპორტო ოპერაციისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე ზემოქმედება სატრანსპორტო ნაკადებზე იქნება დაბალი.

მნიშვნელოვანი შემარბილებელი ღონისძიებების გატარება საჭირო არ იქნება, რადგან ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა და გატანა არ არის ინტენსიური.

პროექტით, დაწესდება კონტროლი ა/ტრანსპორტის ტექნიკურ გამართულობასთან და საჭიროების შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიაზე სიჩქარის შეზღუდვასთან დაკავშირებით.



#### 4.13 კუმულაციური ზემოქმედება

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებული, მიმდინარე თუ პერსპექტიული პროექტების განხორციელებით მოსალოდნელ, მსგავსი სახის ზემოქმედებასთან ერთად გაცილებით მაღალი და საგულისხმო უარყოფითი ან დადებითი შედეგების მომტანია.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ საწარმოს ტერიტორია ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მაღალ ტექნოგენურ და ანთროპოგენურ დატვირთვას. საწარმოს ტერიტორია ითვლება ინდუსტრიულ ზონად.

ვინაიდან, საწარმოს ტერიტორია მაღალი ანთროპოგენური ზემოქმედების მატარებელია, ხოლო პროექტით ტექნოლოგიური ხაზების მოწყობა არ ითვალისწინებს ხე-მცენარეული საფარის ჭრას, მიწის სამუშაოებს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მართვის საკითხს უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის.

ტერიტორიის დათვალიერების შედეგად შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს საწარმოდან 500 მეტრიან რადიუსში მსგავსი ტიპის საწარმო არ გამოვლენილა. შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### 4.14 ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიაზე

ტერიტორიის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის ჭარბტენიანი ტერიტორია. შესაბამისად, ზემოქმედება ამ მხრივ მოსალოდნელი არ არის.

#### 4.15 შავ ზღვაზე და სანაპირო ზოლზე ზემოქმედება

შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან საწარმო დაშორებულია 260 კმ და მეტი მანძილით. შესაბამისად, რაიმე სახის გავლენა შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გამორიცხებულია.

#### 4.16 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბების და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

## 5 დანართები

### 5.1 საჯარო რეესტრიდან ამონაწერი (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.359)



მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.19.24.007.359**

#### ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია  
N 882021434170 - 02/06/2021 13:51:43

მომზადების თარიღი  
08/06/2021 10:15:58

#### საკუთრების განყოფილება

ზონა თბილისი	სექტორი სამტორი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების გიში:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დამზღვრული ფართობი: 31551.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:01.19.24.007.310; 01.19.24.007.311; 01.19.24.007.002; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10
01	19	24	007/359	

მისამართი: ქალაქი თბილისი , დასახლება ქვემო ალექსეევკა ; ქალაქი თბილისი , ქვემო ალექსეევკა

#### მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882019285932 , თარიღი 17/04/2019 10:26:14  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 07/05/2019

##### უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისას ნასყიდობის ხელშეკრულება N2015032654344 უ.უ , დამოწმების თარიღი:24/04/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- დაწვრილებითი დახასიათება ვალდებულების შესრულების შესახებ N2015032654344 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის უპირობო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისას ნასყიდობის ხელშეკრულება N2015032654344 უ.უ , დამოწმების თარიღი:24/04/2015 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ქონების იპოთეკისა და ნასყიდობის ხელშეკრულება N31.12/001-14, დამოწმების თარიღი:31/12/2014, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება N2043908 , დამოწმების თარიღი:31/07/2015 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
- უძრავი ქონების იპოთეკისა და ნასყიდობის ხელშეკრულება N31.12/001-14 , დამოწმების თარიღი:31/12/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- დაწვრილებითი დახასიათება ვალდებულების შესრულების შესახებ N2015032654344 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

##### მესაკუთრეები:

შპს ენ ერ ჯი ჯორჯია , ID ნომერი:405076359

##### მესაკუთრე:

შპს ენ ერ ჯი ჯორჯია

##### აღწერა:

#### იპოთეკა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. <http://public.reestri.gov.ge>

გვერდი: 1(3)

- 1) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014712600 თარიღი 31/12/2014 13:12:23  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 31/12/2014  
იპოთეკარა სააქციო საზოგადოება "ბაზის ბანკი"203841833;  
მესაკუთრე: შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია" 405076359;  
საგანი:ღამუსგებული ფართობი: 16023.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობებთან ერთად;  
უძრავი ქონების იპოთეკისა და ნასცილობის ხელშეკრულება N31.12/001-14, დამოწმების თარიღი31/12/2014, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,  
(განცხადების რეგისტრაცია წინა ნომერი 882014712600) ხელშეკრულება 01.06/302-21, დამოწმების თარიღი02/06/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,
- 2) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015481449 თარიღი 25/08/2015 12:40:29  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/09/2015  
იპოთეკარა სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი"203841833;  
მესაკუთრე: შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია" 405076359;  
საგანი:მიწის ღამუსგებული ფართობი:14087 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობ(ებ)ით;  
იპოთეკის ხელშეკრულება N25.08/03-15, დამოწმების თარიღი25/08/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
(განცხადების რეგისტრაცია წინა ნომერი 882015481449) ხელშეკრულება 01.06/302-21, დამოწმების თარიღი02/06/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- 3) განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882015481449 თარიღი 25/08/2015 12:40:29  
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/09/2015  
იპოთეკარა სააქციო საზოგადოება "ბაზისბანკი"203841833;  
მესაკუთრე: შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია" 405076359;  
საგანი:მიწის ღამუსგებული ფართობი: 1441 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობ(ებ)ით;  
იპოთეკის ხელშეკრულება N25.08/03-15, დამოწმების თარიღი25/08/2015, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
განცხადების რეგისტრაცია წინა ნომერი 88201434170 ) ხელშეკრულება 01.06/302-21, დამოწმების თარიღი02/06/2021, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,

საგადასახადო გირაუნობა:

რეგისტრირებული არ არის

---

### შეზღუდული სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 011999004346 თარიღი 25/11/1999

რკინიგზის გასხვისების ბოლი, 717 კვ.მ. მიწის ნაკვეთი დაიგვირთოს სერვიტუტით;

---

### ვალიდებულია

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ქ.თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში, ელექტროკაბელებისა და პლასტიკური მასალის  
პოლივინილქლორიდის გრანულების წარმოების პროექტი

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მაგერიალური აქციის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge);
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე [www.napr.gov.ge](http://www.napr.gov.ge), ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეაესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: [info@napr.gov.ge](mailto:info@napr.gov.ge)



5.2 შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს მიმართ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სასამართლოს დადგენილება



საჯ.მს. 3-12-21  
იხ.ქმ.ი: 2.ქმ.3

სახელმწიფო საქმეშუწყებო დაწესებულება  
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ქ. თბილისი, 0114 გ.გუშუას ქ. 6, ტელ: +995 (32) 2720269



DES 1 21 00069968



02/12/2021

შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ (ს/კ 405076359) დირექტორს  
ბატონ მამია მოცრაძეს

იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ქ. შარტავას ქ. №40

ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ალექსეევკას დასახლება

ბატონო მამია,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსული შეტყობინებების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ განხორციელდა ქ. თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში მდებარე, შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ (ს/კ 405076359) კუთვნილი სპილენძისა და ალუმინის საკაბელო პროდუქციის მწარმოებელი საწარმოს შესწავლა/დათვალიერება.

ადგილზე განხორციელებული ინსპექტირებით, კომპანიისა და სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის კამერალური შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ, დადგინდა, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს საწარმოში 2019 წლიდან მიმდინარეობს ქიმიური ნივთიერებებიდან საიზოლაციო მასალის (პოლივინილქლორიდის გრანულები) წარმოება.

გაცნობებთ, რომ "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-6 პუნქტის 6.2 ქვეპუნქტის თანახმად, ფარმაცევტული პროდუქტების, საღებავების, ლაქების, პეროქსიდის, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება ექვემდებარება ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას, რაც კომპანიას არ განუხორციელებია. აღნიშნული კი წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

ასევე დადგინდა, რომ კომპანია ახდენს კაბელის ნარჩენების წინასწარ დამუშავებას, რაც ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება **საქმიანობის რეგისტრაციას**, ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge), თუმცა კომპანიას არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია "ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის №144 დადგენილების შესაბამისად. აღნიშნული წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის **40-ე მუხლის მეორე ნაწილით** გათვალისწინებულ დარღვევას.

ამასთან, დადგინდა, რომ შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია"-ს მიერ 2020 წელს შემუშავებული და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულია კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, თუმცა გეგმაში წარმოდგენილი ნარჩენების სახეობები არ შეესაბამება საწარმოს ექსპლუატაციისას წარმოქმნილ ნარჩენების სახეობებს. კერძოდ, საწარმოს საქმიანობის შედეგად ძირითადად წარმოიქმნება 4 კატეგორიის საწარმოო ნარჩენი - ალუმინის და სპილენძის მეტალის ნარჩენები, საიზოლაციო ნარჩენები და კაბელის ნარჩენები. ასევე, **სახი ფათო ნარჩენებიდან** კომპანიას წარმოექმნება ჰიდრაულიკური ზეთები, დანადგარების შეკეთების შედეგად საპოხი მასალებით დაბინძურებული ჩვრები, ზეთებით დაბინძურებული ნახერხი და წარმოებისათვის შემოტანილი ქიმიური ნივთიერებების შესაფუთი მასალები.

გაცნობებთ, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის **მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის** შესაბამისად, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა ახლდება ყოველ 3 წელიწადში **ან წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის, რაოდენობის შეცვლის და დამუშავების პროცესში არსებითი ცვლილებების შეტანის შემთხვევაში**, რაც კომპანიას არ განუხორციელებია. აღნიშნული წარმოადგენს ნარჩენების მართვის კოდექსის **43-ე მუხლის მე-2 ნაწილით** გათვალისწინებულ დარღვევას.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს "ენ ერ ჯი ჯორჯია"-ს მიმართ დეპარტამენტში დაწყებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 797 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40-ე მუხლის მეორე ნაწილით და 43-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევის ფაქტზე და გთხოვთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმების შედგენის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, **წერილი ს ჩაბარებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში**, უზრუნველყოთ უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის გამოცხადება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (მისამართი: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ №6).

აქვე გაცნობებთ, რომ კომპანიის უფლებამოსილი წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შედგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმები, ხოლო მათი მეორე ეგზემპლარი, თანდართული საქმის მასალებით, გამოიგზავნება კომპანიის იურიდიულ მისამართზე.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ.

პატივისცემით,



დეპარტამენტის უფროსის მოადგილე  
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი  
ზვიად შურღია







თბილისის საქალაქო სასამართლო  
დ. აღმაშენებლის ხეივანი N64

საქმე №4/7866-21  
04.03.2022 წელი

შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“  
მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვ.შარტავას ქ. N40  
თბილისი, ქვემო ალექსეევკას დასახლება  
ტელ: 577 96 91 69

გეგზავნებათ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 18 თებერვლის დადგენილება.

პატივისცემით,

ნათია ჭკადუა  
თბილისის საქალაქო სასამართლოს  
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის  
მოსამართლე ირაკლი ჩიკაშუას თანაშემწე

საქმე N4/7866-21 (330510021005327052)



7443485961714

www.ecd.court.ge



**და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**  
**საქართველოს სახელით**  
**ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ**

18 თებერვალი, 2022 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია  
მოსამართლე ირაკლი ჩიკაშუა  
სხდომის მდივანი ეკატერინე შარია, თამარ ზარნოვი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი - შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ (ს/კ 405076359, იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ჟ. შარტავას ქ. 40; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ალექსეევკას დასახლება; დირექტორი: მამია მოცრაძე)

სასამართლომ ღია სხდომაზე, განიხილა მასალები ადმინისტრაციული სახდელის დადების თაობაზე, ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილებითა და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

1. 2021 წლის 21 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სსიპ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

2021 წლის 23 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სსიპ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან შემოვიდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალები შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს მიმართ საქართველოს მართვის კოდექსის“ მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილით



გათვალისწინებული ქმედების შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 07 თებერვლის საოქმო დადგენილებით ერთ წარმოებად გაერთიანდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები N4/7866-21 და N4/7914-21. გაერთიანებულ საქმეს მიენიჭა N4/7866-21.

2. წარმოდგენილი სამართალდარღვევის მასალებით და სასამართლო განხილვისას დადგენილია:

2.1. შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ, დადგინდა, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს საწარმოში 2019 წლიდან მიმდინარეობს ქიმიური ნივთიერებებიდან საიზოლაციო მასალის (პოლივინილქლორიდის გრანულები) წარმოება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-6.2. პუნქტის თანახმად, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება ექვემდებარება ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას, რაც კომპანიას არ განუხორციელებია.

2.2. 2021 წლის 6 დეკემბერს შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი №064488 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის.

2.3. შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ ახდენს კაბელების ნარჩენების წინასწარ დამუშავებას რაც ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება საქმიანობის რეგისტრაციას ნარჩენების მართვის ელექტორულ სისტემაში. თუმცა კომპანიას არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილების შესაბამისად.

2.4. 2021 წლის 06 დეკემბერს შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს მიმართ შედგენილია სამართალდარღვევის ოქმი №064489, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენლის განმარტება:

3.1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი ორგანოს წარმომადგენელი დაეთანხმა წარმოდგენილი ოქმის სისწორეს და ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის მიმართ შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება მოითხოვა.

4. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენლის განმარტება:

4.1. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის წარმომადგენლის განმარტება:





სსდომაზე განმარტა, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ არის ახალი საწარმო, რომელიც საქმიანობიდან გამომდინარე არ ახორციელებს პირდაპირი გაგებით გარემოს დაზიანებებს ეინიდან საქმიანობის პროცესში არანაირი გამონაბოლქვის გამოყოფას არ აქვს ადგილი. მისივე განმარტებით, ვინაიდან საწარმო არის ახალი და დგამს პირველ ნაბიჯებს საქმიანობაში მისთვის ცნობილი არ იყო სახელმწიფო ორგანოების წინაშე არსებული ყველა ვალდებულების შესახებ, სწორედ აღნიშნულმა ფაქტმა განაპირობა ის ფაქტი რომ სათანადო დოკუმენტაცია არ იყო წესრიგში.

5. სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულებები:

- 5.1. 06.12.2021 წლის N064488 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
- 5.2. 06.12.2021 წლის N064489 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი;
- 5.3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან;
- 5.4. შსს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ცნობები;
- 5.5. შპს „ენ ერ ჯი ჯორჯიას“ წერილები;
- 5.6. განაცხადები;
- 5.7. ხელშეკრულებები;
- 5.8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერის დოკუმენტები;
- 5.9. სასაქონლო ზედნადებები;
- 5.10. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წერილები;
- 5.12. ნარჩენების მართვის გეგმა.
- 5.13. ფოტომასალა.

6. წარმოდგენილი და სასამართლო განხილვისას მიღებული მტკიცებულებების შეფასება და დასკვნები (მოტივაცია):

6.1. საქმის მასალების შესწავლის, მხარის ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ დადასტურებულია შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>ე</sup> მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლის თანახმად, აღნიშნული კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მითითებული წესით განისაზღვრა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, რომელიც





ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელშეწყობის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისათვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლზე, რომელიც ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, ამასთან ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტო-ფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონით და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში, ხოლო 264-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოს, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გადაწყვეტა ემყარება საქმეზე არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელთა გამოკვლევისა და შეფასების საფუძველზე ხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა. ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენასა და მტკიცებულებების სწორ შეფასებაზე დაყრდნობით ხდება სასამართლოს მიერ ქმედების სწორი კვალიფიკაცია.

სასამართლო ყურადღებას მიაპყრობს ადამიანის უფლებათა ევროპული საბუნებისრილო პრევენდენტულ სამართალს მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტთან შესაბამისობით





ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Barberà, Messegué, Jabardo v. Spain, no. 10590/93, 06/12/1988, პუნქტი 68). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychev v. Russia, no. 24086/04, 04/10/2010, პუნქტი 32).

სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად მიჩნევისთვის აუცილებელია მტკიცებულებათა შეფასება განხორციელდეს საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან ურთიერთშეჯერების და გაანალიზების საფუძველზე. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის გარემოება, რომ კანონმდებელი ფაქტობრივი გარემოების დადგენის თვალსაზრისით საკმარისად არ მიიჩნევს ცალკე აღებული ერთი მტკიცებულების საკმარისობის ფაქტს, არამედ იგი ადგენს სტანდარტს, რომელიც გულისხმობს მტკიცებულებათა ერთობლიობის მოცემულობას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონკრეტული ფაქტის დადასტურების თვალსაზრისით მტკიცებულებათა ერთობლიობა უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული. მტკიცებულებებს შორის უნდა არსებობდეს შინაარსობრივი კავშირი, ისინი უნდა იყოს აშკარა ერთმანეთთან შეთანხმებული, რომლებიც უნდა ადასტურებდნენ რაიმე ფაქტს ან გარემოებას და მათში ეჭვის შეტანის გონივრული საფუძველი არ უნდა არსებობდეს. მტკიცებულებათა ერთობლიობა პირდაპირ და ცალსახად უნდა ადგენდეს ფაქტებს, კერძოდ აღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოს უნდა აძლევდეს მაღალ სტანდარტს დამაჯერებლობის კუთხით.

6.2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება ან სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება გამოიწვევს დაჯარიმებას 7 000-დან 10 000 ლარამდე.

„ნარჩენების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 40-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავების ობიექტის მოწყობა და ოპერირება დადგენილი წესით რეგისტრაციის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარის ოდენობით.

მითითებული კოდექსის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობა ან/და ამ გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განუხორციელებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-6.2. პუნქტის და





მუხლის შენიშვნის თანახმად, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება ექვემდებარება ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას.

საქმის მასალების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად სასამართლო მიიჩნევს, რომ დადასტურებულია - შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 77-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის ფაქტი. კერძოდ, შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ საქმიანობას ახორციელებს შესაბამისი გადაწყვეტილების გარეშე. კერძოდ, დადგინდა, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“-ს საწარმოში 2019 წლიდან მიმდინარეობს ქიმიური ნივთიერებებიდან საიზოლაციო მასალის (პოლივინილქლორიდის გრანულები) წარმოება. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის II დანართის მე-6.2. პუნქტის თანახმად, ელასტომერის ან/და პლასტიკური მასალის წარმოება ექვემდებარება ამავე კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურის გავლას, რაც კომპანიას არ განუხორციელებია. შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ ახდენს კაბელების ნარჩენების წინასწარ დამუშავებას რაც ნარჩენების მართვის კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, ექვემდებარება საქმიანობის რეგისტრაციას ნარჩენების მართვის ელექტორულ სისტემაში. თუმცა კომპანიას არ აქვს გავლილი საქმიანობის რეგისტრაცია „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებითი შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილების შესაბამისად.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდარღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს არა სუბიექტის დასჯა, არამედ პრევენციული და აღმზრდელობითი ღონისძიებების განხორციელება, რათა შემდგომში თავსებად და აცილებული მსგავსი გადაცდომა. სასამართლო ვალდებულია ყოველი საქმის განხილვის პროცესში, გაითვალისწინოს არსებული სიტუაციის





გადაცდომის ხასიათი და სახდელის შეფარდების პროცესში იხელმძღვანელოს თანაზომიერების პრინციპით, რაც გამოიხატება კანონით დაცული ინტერესების ბალანსის დადგენაში. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებაც, რომ კონკრეტული სახდელის გამოყენებისას, ინდივიდუალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით სახდელის გამოყენების საკითხი უნდა იყოს მკაცრად პერსონალური ხასიათის და პროპორციული სამართალდამრღვევის პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის სიმძიმესთან.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და დამრღვევის პიროვნების, სამართალდარღვევის ხასიათის, ბრალის ხარისხის, ქონებრივი მდგომარეობის, განხორციელებული ბრალეული ქმედების შედეგად დაშლარის შედეგის და პასუხისმგებლობის შემამსუზუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ ცნობილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილებით. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 და 33-ე მუხლების შესაბამისად და 36-ე მუხლით დადგენილი წესის გამოყენებით, ამავე კოდექსის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილის სანქციის ფარგლებში უნდა დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ადმინისტრაციული სახდელის სახით უნდა დაეკისროს ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით.

#### სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე, 266-ე-268-ე, 271-ე, 290-ე მუხლებით და

#### და ა დ გ ი ნ ა :

1. შპს „ენ ერ ჯი ჯორჯია“ (ს/კ 405076359, იურიდიული მისამართი: თბილისი, საბურთალოს რაიონი, ქ. შარტავას ქ. 40; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ქვემო ალექსეევკას დასახლება; დირექტორი: მამია მოცრაძე) ცნობილ იქნეს სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის მე-40 მუხლის მეორე და 43-ე მუხლის მეორე ნაწილებით და ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისროს ჯარიმა 7 000 ლარის ოდენობით.

2. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ ზემოაღნიშნული ჯარიმა გადახდული იქნეს, დაჯარიმების შესახებ დადგენილების მისთვის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 7 დღისა და თანხა ჩარიცხული იქნეს ცენტრალურ ბიუჯეტში, ერთიანი ანგარიშზე



საქართველოს ეროვნული ბანკის კოდი 220 101 222, ეროვნული ბანკის სახაზინო კოდი 30 200 3541. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) წარმოდგენილ იქნეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

3. დადგენილების ასლები გადაეცეთ მხარეებს.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მის: თბილისი, გრ. რობაქიძის N7ა) დადგენილების ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით (მის: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

მოსამართლე:



ინგო ჩიკაშუა

### 5.3 ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმა

ავარიული სიტუაციების სახეები საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ავარიული ინციდენტის წარმოქმნის რისკი მინიმალურია, რადგან არ იგეგმება სამშენებლო სამუშაოების განხორციელება.

ექსპლუატაციის ფაზაზე შესაძლო ავარიული სიტუაციებიდან აღსანიშნავია:

- ხანძარი/აფეთქება;
- პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები;
- სატრანსპორტო შემთხვევები და მძიმე ტექნიკის გამოყენებასთან დაკავშირებული ინციდენტები;
- მანქანა-დანადგარებთან მუშაობის პროცესში წარმოქმნილი ავარიული სიტუაციები;

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება. ჩამოთვლილი სახის ავარიული სიტუაციების განვითარების მიზეზი შეიძლება გახდეს ტექნიკური დანადგარ-მოწყობილობების დაზიანება და შედეგად ტექნოლოგიური პროცესების დარღვევა, ასეთი სიტუაციების დროს არსებობს პერსონალის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკებიც და ა.შ

#### 5.3.1 მოსალოდნელი ავარიული სიტუაციების დახასიათება

##### 5.3.1.1 ხანძარი/აფეთქება

დაგეგმილი საქმიანობის პროცესში ხანძრის აღმოცენება-გავრცელების გამოწვევი ფაქტორი ძირითადად შეიძლება იყოს ანთროპოგენური, კერძოდ: მომსახურე პერსონალის გულგრილობა და უსაფრთხოების წესების დარღვევა, ადვილად აალებადი მასალების შენახვის და გამოყენების წესების დარღვევა და სხვ. თუმცა აფეთქების და ხანძრის გავრცელების პროვოცირება შეიძლება სტიქიურმა მოვლენამაც მოახდინოს (მაგ. მიწისძვრა).

##### 5.3.1.2 პერსონალის ტრავმები და მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტები

გარდა სხვა ავარიულ სიტუაციებთან დაკავშირებული ინციდენტებისა მუშახელის ტრავმატიზმი შესაძლოა უკავშირდებოდეს:

- მანქანა-დანადგარებთან მუშაობასთან დაკავშირებულ ინციდენტებს;
- სიმაღლეზე მუშაობას;
- მოხმარებული სპეციალური ხელსაწყოებით მუშაობისას;
- დენის დარტყმას ძაბვის ქვეშ მყოფი დანადგარების სიახლოვეს მუშაობისას.

### 5.3.1.3 სატრანსპორტო შემთხვევები

საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ტრანსპორტის მოძრაობა არ იქნება ინტენსიური, ტრანსპორტი გამოყენებული იქნება მანქანა-დანადგარების შემოსატანად და ასევე, ნედლეულის შემოსატანად. ექსპლუატაციის ეტაპზე კვირის განმავლობაში ოთხჯერ იმოდრავებს სატვირთო ავტომობილი. მოსალოდნელია შემდეგი სახის სატრანსპორტო შემთხვევის რისკები:

- შეჯახება საწარმოს ტერიტორიაზე მომუშავე პერსონალთან;
- შეჯახება სხვა სატრანსპორტო საშუალებებთან საწარმოს ტერიტორიაზე;
- შეჯახება საწარმოს შენობასთან.

### 5.3.1.4 სატრანსპორტო შემთხვევების პრევენციული ღონისძიებები

- სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისათვის ოპტიმალური მიმართულებების შერჩევა;
- შემლებისდაგვარად შემოვლითი გზების გამოყენება;
- სატრანსპორტო საშუალებების სიჩქარის კონტროლი.

### 5.3.1.5 ავარიული სიტუაციების წარმოქმნის ძირითადი პრევენციული ღონისძიებები

პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციული ღონისძიებები:

- პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- პერსონალის აღჭურვა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით;
- სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა;
- შენობებში და დახურულ სივრცეებში შესაბამისი სავაკუაციო გეგმების განთავსება კედლებზე;
- სპეციალური კადრების მომზადება, რომლებიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

### 5.3.1.6 ხანძრის პრევენციული ღონისძიებები

პერსონალის პერიოდული და სამუშაოზე აყვანისას სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე:

- თითოეულ სამუშაო უბანზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა და მისთვის სათანადო ტრენინგის ჩატარება;
- ხანძარსაწინააღმდეგო ნორმების დაცვა და ყველა უბანზე ქმედითუნარიანი სახანძრო ინვენტარის არსებობა. სახანძრო სტენდებზე მითითებული უნდა იყოს ამ უბნის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია;



- ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში. მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა;
- ელექტრო უსაფრთხოების დაცვა;
- შესაბამის უბნებზე მეხამრიდების მოწყობა და მათი გამართულობის კონტროლი;
- ფეთქებადსაშიშ მასალებთან შალის, აბრეშუმის ან სინთეტიკური ქსოვილებისაგან დამზადებული ტანსაცმლით მუშაობის აკრძალვა;
- ფეთქებადსაშიში მასალებით ავსებულ ყუთებზე ზემოქმედების აკრძალვა;
- მუშაობის დროს უნებლიედ გაფანტული ხანძარსაშიში, აგრეთვე ადვილად აალებადი ნივთიერებები უნდა იყოს ფრთხილად მოგროვილი და მოთავსებული ნარჩენების ყუთში. ის ადგილები, სადაც იყო დარჩენილი ან გაფანტული ფეთქებადი და ხანძარსაშიში ნივთიერებები, უნდა იყოს გულმოდგინედ გაწმენდილი ნარჩენების საბოლოო განთავსებამდე.

#### 5.3.1.7 საშიში ქიმიური ნივთიერებების დაღვრის პრევენციული ღონისძიებები:

ავტო ტრანსპორტის ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფა და ექსპლუატაციის წესების დაცვის სისტემატური კონტროლი;

- ზეთების შენახვის და გამოყენების წესების დაცვა;
- ნარჩენების სახიფათო მასალების განთავსების სათავსის პერიმეტრზე შესაბამისი გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება;
- ტრანსპორტირება მხოლოდ დახურულ მარიანი სატრანსპორტო საშუალებების და ტარის გამოყენებით.

#### 5.3.1.8 ინციდენტის სავარაუდო მასშტაბები

საწარმოში მოსალოდნელი ავარიის, ინციდენტის სალიკვიდაციო რესურსების და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, ავარიები და ავარიული სიტუაციები დაყოფილია რეაგირების 3 ძირითადი დონის მიხედვით. ცხრილში მოცემულია ავარიული სიტუაციების აღწერა დონეების მიხედვით, შესაბამისი რეაგირების მითითებით.



ავარიული სიტუაცია	დონე		
	დონე I	დონე II	დონე III
საერთო	ავარიის ლიკვიდაციისთვის საკმარისია შიდა რესურსები	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა გარეშე რესურსები და მუშახელი.	ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა რეგიონული ან ქვეყნის რესურსების მოზიდვა.
საშიში ნივთიერებების დაღვრა	შემთხვევა, რომელიც ექვემდებარება კონტროლს.	შემთხვევა, რომლის მოგვარებისთვის საჭიროა დრო. ასეთი სიტუაცია შეიძლება განვითარდეს ექსპლუატაციიდან გამოსული დანადგარიდან მავნე ნივთიერებების დაღვრისას.	ტონაზე მეტი ნივთიერების დაღვრა. ავარიის ლიკვიდაციისთვის საჭიროა რეგიონული ან ქვეყნის რესურსების მოზიდვა;
ხანძარი	ლოკალური ხანძარი, რომელიც არ საჭიროებს გარეშე ჩარევას და სწრაფად კონტროლირებადია. მეტეოროლოგიური პირობები ხელს არ უწყობს ხანძრის სწრაფ გავრცელებას. მიმდებარედ არ არსებობს სხვა ხანძარსაშიში და ფეთქებადსაშიში უბნები/საწყობები და მასალები.	მოზრდილი ხანძარი, რომელიც მეტეოროლოგიური პირობების გამო შესაძლოა სწრაფად გავრცელდეს. მიმდებარედ არსებობს სხვა ხანძარსაშიში უბნები და მასალები. საჭიროა ადგილობრივი სახანძრო რაზმის გამოძახება.	დიდი ხანძარი, რომელიც სწრაფად ვრცელდება. არსებობს მიმდებარე უბნების აალების და სხვა სახის ავარიული სიტუაციების პროვოცირების გართულებულია ტერიტორიასთან რეგიონალური სახანძრო სამსახურების ინციდენტის ლიკვიდაციისთვის.
პერსონალის დაზავება / ტრავმატიზმი	ტრავმატიზმის ერთი შემთხვევა; მსუბუქი მოტეხილობა, დაჟეჟილობა; I ხარისხის დამწვრობა (კანის ზედაპირული შრის დაზიანება); დაზავებული პერსონალისთვის დახმარების აღმოჩენა და ინციდენტის ლიკვიდაცია შესაძლებელია შიდა	ტრავმატიზმის ერთეული შემთხვევები; ძლიერი მოტეხილობა - სახსართან ახლო მოტეხილობა; II ხარისხის დამწვრობა (კანის ღრმა შრის დაზიანება); საჭიროა დაზავებული პერსონალის გადაყვანა ადგილობრივ	ტრავმატიზმის რამდენიმე შემთხვევა; მომსახურე პერსონალის; ძლიერი მოტეხილობა - სახსარშიდა მოტეხილობა და სხვ; III და IV ხარისხის დამწვრობა (კანის, მის ქვეშ მდებარე ქსოვილების და კუნთების დაზიანება); საჭიროა დაზავებული



	სამედიცინო ინვენტარით.	სამედიცინო დაწესებულებაში	პერსონალის გადაყვანა რეგიონული ან თბილისის შესაბამისი პროფილის მქონე სამედიცინო პუნქტში.
სატრანსპორტო შემთხვევები	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურის არა ღირებული ობიექტების დაზიანებას. ადამიანთა ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, ინფრასტრუქტურის ღირებული ობიექტების დაზიანებას. საფრთხე ემუქრება ადამიანთა ჯანმრთელობას ან ადგილი აქვს ტრავმატიზმის II დონეს.	ადგილი აქვს ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებების, განსაკუთრებული ღირებულების ინფრასტრუქტურის დაზიანებას. არსებობს სხვა სახის ავარიული სიტუაციების პროვოცირების დიდი რისკი. საფრთხე ემუქრება ადამიანთა ჯანმრთელობას ან ადგილი აქვს ტრავმატიზმის III დონეს.

### 5.3.2 შეტყობინების სქემა ავარიული სიტუაციის დროს

ავარიის, ინციდენტის, ავარიული სიტუაციის აღმომჩენი პირი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ შეატყობინოს საწარმოს მენეჯერს.

გარემოსდაცვითი მმართველი ვალდებულია:

- ავარიის, ინციდენტის, ავარიული სიტუაციის აღმომჩენი პირისგან მიიღოს შემდეგი ინფორმაცია:
  - o ავარიის, ინციდენტის სახე, ადგილმდებარეობა, შესაბამისი დანადგარის, მოწყობილობის დასახელება, ავარიის, ინციდენტის სავარაუდო მასშტაბი (I, II ან III დონე), ინფორმატორის სახელი, გვარი, თანამდებობა, სად იმყოფება, მონაცემები სატელეფონო უკუკავშირისათვის, აუცილებელი დეტალები მათი შემჩნევის შემთხვევაში;
- დაუყოვნებლივ გადასცეს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ჯგუფებს: შრომის უსაფრთხოების ოფიცერი/უბნის სახანძრო-უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს.
- საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია გადასცეს საგანგებო ვითარების გარე სამსახურებს: სახანძრო სამსახური/სამედიცინო სამსახური/საკატრულო პოლიცია და სხვ.

- დაუყოვნებლივ გადასცეს აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია სხვა საწარმოების ხელმძღვანელებს.
- ავარიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღების შემდგომ, ინციდენტის შესახებ ინფორმაცია უნდა გადასცეს:
  - o ადმინისტრაციას;
  - o საჭიროების შემთხვევაში საგანგებო ვითარების ადგილობრივ ან რეგიონალურ სამსახურებს (მასშტაბური ავარიის დროს);
  - o დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებს და სხვა გარეშე ორგანიზაციებს, აგრეთვე მასმედიის საშუალებებს საზოგადოების ინფორმირებისათვის.

### 5.3.3 ავარიებზე რეაგირების ორგანიზაცია

#### 5.3.3.1 რეაგირება ხანძრის შემთხვევაში

ხანძრის კერის ან კვამლის აღმომჩენი პირის და მახლობლად მომუშავე პერსონალის სტრატეგიული ქმედებებია:

- სამუშაო უბანზე ყველა საქმიანობის შეწყვეტა, გარდა უსაფრთხოების ზომებისა;
- სიტუაციის შეფასება, ხანძრის კერის და მიმდებარე ტერიტორიების დაზვერვა;
- შეძლებისდაგვარად მანქანა-დანადგარების იმ ადგილებიდან გატანა, სადაც შესაძლებელია ხანძრის გავრცელება.
- ელექტრომოწყობილობები უნდა გამოირთოს წრედიდან;

იმ შემთხვევაში თუ ხანძარი მძლავრია და გაძნელებულია ხანძრის კერასთან მიდგომა, მიმდებარედ განლაგებულია რაიმე ხანძარსაშიში ან ფეთქებადსაშიში უბნები/ნივთიერებები, მაშინ:

- მოშორდით სახიფათო ზონას: ევაკუირებისას იმოქმედეთ უბნის ევაკუაციის სქემის მიხედვით;
- თუ თქვენ გიწევთ კვამლიანი დახურული სივრცის გადაკვეთა, დაიხარეთ, რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა, ცხვირზე და პირზე აიფარეთ სველი ნაჭერი;
- თუ ვერ ახერხებთ ევაკუაციას აღმოდებული გასასვლელის გამო ხმამაღლა უხმეთ მშველელს;
- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით უბნის უფროსს / სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს. დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას და მათი მოსვლისას გადაეცით დეტალური ინფორმაცია ხანძრის მიზეზების და ხანძრის კერის სიახლოვეს არსებული სიტუაციის შესახებ;

იმ შემთხვევაში თუ ხანძარი არ არის მძლავრი, ხანძრის კერა ადვილად მისადგომია და მასთან მიახლოება საფრთხეს არ უქმნის თქვენს ჯანმრთელობას, ამასთან არსებობს მიმდებარე ტერიტორიებზე ხანძრის გავრცელების გარკვეული რისკები, მაშინ იმოქმედეთ შემდეგნაირად:

- ავარიის შესახებ შეტყობინება გადაეცით უბნის უფროსს / სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირს;
- სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დახმარებით: მოძებნეთ უახლოესი სახანძრო სტენდი და მოიმარაგეთ საჭირო სახანძრო ინვენტარი (ცეცხლმაქრი, ნაჯახი, ძალაყინი, ვედრო და სხვ); ეცადეთ ხანძრის კერის ლიკვიდაცია მოახდინოთ ცეცხლმაქრებით, ცეცხლმაქრებზე წარმოდგენილი ინსტრუქციის მიხედვით; იმ შემთხვევაში თუ უბანზე არ არსებობს სახანძრო სტენდი, მაშინ ხანძრის კერის ლიკვიდაციისთვის გამოიყენეთ ქვიშა, წყალი ან გადააფარეთ ნაკლებად აალებადი სქელი ქსოვილი; იმ შემთხვევაში თუ ხანძრის კერის სიახლოვეს განლაგებულია წრედში ჩართული ელექტროდანადგარები წყლის გამოყენება დაუშვებელია;
- დახურულ სივრცეში ხანძრის შემთხვევაში ნუ გაანიავეთ ოთახს (განსაკუთრებული საჭიროების გარდა), რადგან სუფთა ჰაერი უფრო მეტად უწყობს ხელს წვას და ხანძრის მასშტაბების ზრდას.
- ხანძრის შემთხვევაში უბნის უფროსის/სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სტრატეგიული ქმედებებია: დეტალური ინფორმაციის მოგროვება ხანძრის კერის ადგილმდებარეობის, მიმდებარედ არსებული/დასაწყობებული დანადგარ-მექანიზმების და ნივთიერებების შესახებ და სხვ;
- ინციდენტის ადგილზე მისვლა და სიტუაციის დაზვერვა, რისკების გაანალიზება და ხანძრის სავარაუდო მასშტაბების (I, II ან III დონე) შეფასება; მთელს პერსონალს ეთხოვოს მანქანებისა და უბანზე არსებული ხანძარსაქრობი აღჭურვილობის გამოყენება; პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და ხელმძღვანელობა. ხანძრის შემთხვევაში საწარმოს მენეჯერი წარმომადგენლის სტრატეგიული ქმედებებია:
- ინფორმაციის გადაცემა ავარიის შეტყობინების სქემის შესაბამისად;
- უსაფრთხოების ოფიცერთან ერთად შიდა პერსონალის ქმედებების გაკონტროლება, ადგილობრივი ან რეგიონალური სახანძრო რაზმის გამოჩენამდე (ამის შემდეგ შტატს ხელმძღვანელობს სახანძრო რაზმის ხელმძღვანელი);
- სახანძრო რაზმის ქმედებების ხელშეწყობა (შესაძლოა საჭირო გახდეს უბანზე არარსებული სპეციალური აღჭურვილობა და სხვ.); ინციდენტის დასრულების შემდგომ H&SE ოფიცერთან და სხვა კომპეტენტურ პერსონალთან ერთად ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება;
- ანგარიშის მომზადება ადმინისტრაციისთვის გადაცემა / გაცნობა. საწარმოს შემადგენლობაში შემავალი სახანძრო სამსახურის სტრატეგიული ქმედებებია: ინფორმაციის მიღებისთანავე დროული რეაგირება და ყველა სახის სახანძრო ინვენტარის მობილიზება; ინციდენტის ადგილზე გამოცხადება და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება ადგილობრივი ან რეგიონალური სახანძრო რაზმის გამოჩენამდე; ადგილობრივი ან რეგიონალური სახანძრო რაზმის გამოჩენის შემდგომ მათთვის საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო შიდა რესურსების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება და კოორდინირებულად ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება.

### 5.3.3.2 რეაგირება პერსონალის ტრავმატიზმის ან მათი ჯანმრთელობის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების დროს

ადამიანის დაშავების აღმომჩენი პირის უპირველეს ქმედებას წარმოადგენს ინციდენტის შესახებ შეტყობინების სასწრაფო გადაცემა. სამაშველო ჯგუფის გამოჩენამდე დაშავებულს პირველადი დახმარება უნდა გაეწიოს შემდგომ ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით. პირველადი დახმარების გაწევამდე აუცილებელია სიტუაციის შეფასება და დადგენა ქმნის თუ არა საფრთხეს დაშავებულთა მიახლოება და მისთვის დახმარების გაწევა.

### 5.3.3.3 პირველადი დახმარება მოტეხილობის დროს

არჩევნ ძვლის ღია და დახურულ მოტეხილობას:

- ღია მოტეხილობისათვის დამახასიათებელია კანის საფარველის მთლიანობის დარღვევა. ამ დროს დაზიანებულ არეში არის ჭრილობა და სისხლდენა. ღია მოტეხილობის დროს მაღალია ინფიცირების რისკი. ღია მოტეხილობის დროს:
- დროულად მოუხმეთ დამხმარეს, რათა დამხმარემ ჩაატაროს სხეულის დაზიანებული ნაწილის მობილიზაცია, სანამ თქვენ დაამუშავებთ ჭრილობას;
- დაფარეთ ჭრილობა სუფთა საფენით და მოახდინეთ პირდაპირი ზეწოლა სისხლდენის შეჩერების მიზნით. არ მოახდინოთ ზეწოლა უშუალოდ მოტეხილი ძვლის ფრაგმენტებზე;
- ჭრილობაზე თითებით შეხების გარეშე, საფენის ზემოდან ფრთხილად შემოფარგლეთ დაზიანებული არე სუფთა ქსოვილით და დააფიქსირეთ ის ნახვევით;
- თუ ჭრილობაში მოჩანს მოტეხილი ძვლის ფრაგმენტები, მოათავსეთ რბილი ქსოვილი ძვლის ფრაგმენტების გარშემო ისე, რომ ქსოვილი სცილდებოდეს მათ და ნახვევი არ ახდენდეს ზეწოლას ძვლის ფრაგმენტებზე. დაამაგრეთ ნახვევი ისე, რომ არ დაირღვეს სისხლის მიმოქცევა ნახვევის ქვემოთ;
- ჩაატარეთ მოტეხილი ძვლის იმობილიზაცია, ისევე, როგორც დახურული მოტეხილობისას; შეამოწმეთ პულსი, კაპილარული ავსება და მგრძნობელობა ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ. დახურულ მოტეხილობასთან გვაქვს საქმე, თუ კანის მთლიანობა დაზიანებულ არეში დარღვეული არ არის. ამ დროს დაზიანებულ არეში აღინიშნება სისხლჩაქცევა და შეშუპება. დახურული მოტეხილობის დროს: სთხოვეთ დაზარალებულს იწვეს მშვიდად და დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი მოტეხილობის ზემოთ და ქვემოთ ხელით, სანამ არ მოხდება მისი იმობილიზაცია (ფიქსაცია);
- კარგი ფიქსაციისათვის დაამაგრეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი დაუზიანებელზე. თუ მოტეხილობა არის ხელზე დააფიქსირეთ ის სხეულზე სამკუთხა ნახვევის საშუალებით. ფეხზე მოტეხილობის არსებობისას დააფიქსირეთ დაზიანებული ფეხი მეორეზე. შეკარით კვანძები დაუზიანებელი ფეხის მხრიდან;
- შეამოწმეთ პულსი, მგრძნობელობა და კაპილარული ავსება ნახვევის ქვემოთ ყოველ 10 წთ-ში ერთხელ. თუ სისხლის მიმოქცევა ან მგრძნობელობა დაქვეითებულია, დაადეთ ნაკლებ მჭიდრო ნახვევი.

#### 5.3.3.4 პირველადი დახმარება ჭრილობების და სისხლდენის დროს

არსებობს სამი სახის სისხლდენა:

სისხლი ცოტაა. ამ დროს ინფექციის საშიშროება მეტია:

- დაშავებულს მობანეთ ჭრილობა დასაღვევად ვარგისი ნებისმიერი უფერო სითხით;
- შეახვიეთ ჭრილობა სუფთა ქსოვილით;

სისხლი ბევრია. ამ დროს არსებობს სისხლის დაკარგვის საშიშროება:

- დააფარეთ ჭრილობას რამდენიმე ფენად გაკეცილი ქსოვილი და გააკეთეთ დამწოლი ნახვევი;
- თუ სისხლი ისევ ჟონავს, ჭრილობაზე ქსოვილი კიდევ დაახვიეთ (სისხლით გაჟღენთილი ქსოვილი არ მოხსნათ) და ძლიერად დააწექით სისხლმდინარ არეს; ჭრილობიდან სისხლი შადრევანივით ასხამს. ამ დროს სისხლი ძალიან სწრაფად იკარგება. ამის თავიდან ასაცილებლად არტერიის საპროექციო არეს (ჭრილობის ზემოთ) თითით (ან თითებით) უნდა დააწვეთ, შემდეგ კი ლახტი დაადოთ. არტერიაზე ზეწოლის ადგილებია: მხრის ქვედა მესამედი და ბარძაყის ზედა მესამედი.

ლახტის დადების წესი ასეთია:

- ლახტს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ადებენ, რადგან ის ხშირად შეუქცევად დაზიანებებს იწვევს;
- ლახტი ედება ჭრილობის ზემოთ;
- ლახტის დასადები ადგილი ტანსაცმლით უნდა იყოს დაფარული. თუ ჭრილობის ადგილი შიშველია, ლახტს ქვეშ სუფთა ქსოვილი უნდა დავუფინოთ;
- პირველი ნახვევი მჭიდრო უნდა იყოს (შეძლებისდაგვარად უნდა დამაგრდეს), შემდეგ ლახტი იჭიმება და ჭრილობის არეს დამატებით ედება 3-4-ჯერ (ლახტის მაგივრად შეიძლება გამოყენებულ იქნეს თოკი, ქამარი და სხვა);
- ლახტი ზამთარში ერთი, ზაფხულში კი ორი საათით ედება. შემდეგ 5-10 წუთით უნდა მოვუშვათ და თავდაპირველი ადგილიდან ოდნავ ზემოთ დავადოთ;
- შეამოწმეთ, სწორად ადევს თუ არა ლახტი - სწორად დადების შემთხვევაში კიდურზე კულსი არ ისინჯება;

რა არ უნდა გავაკეთოთ:

- არ ჩავყოთ ხელი ჭრილობაში;
- ჭრილობიდან არაფერი ამოვიღოთ. თუ ჭრილობიდან გამოჩრილია უცხო სხეული, ვეცადოთ, ის მაქსიმალურად დავაფიქსიროთ (ნახვევი დავადოთ გამოჩრილი უცხო სხეულის ირგვლივ).
- შინაგანი სისხლდენა ძნელად აღმოსაჩენი დაზიანებაა. ეჭვი მიიტანეთ შინაგან სისხლდენაზე, როდესაც ტრავმის მიღების შემდეგ აღინიშნება შოკის ნიშნები, მაგრამ არ არის სისხლის თვალსაჩინო დანაკარგი. შინაგანი სისხლდენის დროს:

- დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზემოთ; o შეხსენით მჭიდრო ტანსაცმელი კისერზე, გულმკერდზე, წელზე;
- არ მისცეთ დაზარალებულს საჭმელი, წამალი და სასმელი. თუ დაზარალებული გონზეა და აღნიშნება ძლიერი წყურვილის შეგრძნება, დაუსველეთ მას ტუჩები;
- დაათბუნეთ დაზარალებული – გადააფარეთ საბანი ან ქსოვილი;
- ყოველ 10 წთ-ში ერთხელ გადაამოწმეთ პულსი, სუნთქვა და ცნობიერების დონე. თუ დაზარალებული კარგავს გონებას, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში.

### 5.3.3.5 პირველადი დახმარება დამწვრობის დროს

დამწვრობა შეიძლება განვითარდეს ცხელი საგნების ან ორთქლის ზემოქმედების (თერმული დამწვრობა), კანზე ქიმიური ნივთიერების მოხვედრის (ქიმიური დამწვრობა), დენის ზემოქმედების (ელექტრული დამწვრობა) შემთხვევაში. იმისათვის, რომ შეგვეძლოს დამწვრობის დროს პირველი დახმარების სწორად აღმოჩენა, უნდა განვსაზღვროთ დამწვრობის ხარისხი, რაც დამოკიდებულია დაზიანების სიღრმეზე და დაზიანების ფართობზე (სხეულის ზედაპირის რა ნაწილზე ვრცელდება დაზიანება).

დამწვრობის დროს პირველადი დახმარების ღონისძიებებია:

- დამწვრობის დროს საშიშია კვამლის შესუნთქვა, ამიტომ თუ ოთახში კვამლია და მისი სწრაფი განიავება შეუძლებელია, გადაიყვანეთ დაზარალებული უსაფრთხო ადგილას, სუფთა ჰაერზე;
- თუ დაზარალებულზე იწვის ტანსაცმელი, არ დაიწყეთ მისი სხეულის გადაგორება, გადაასხით სხეულს წყალი (ელექტრული დამწვრობის შემთხვევაში, წრედში ჩართულ დანადგარებთან წყლის გამოყენება დაუშვებელია);
- თუ წყლის გამოყენების საშუალება არ არის, გადააფარეთ სხეულს არასინთეტიკური ქსოვილი;
- აუცილებელია დროულად დაიწყეთ დამწვარი არის გაგრილება ცივი წყლით (I და II ხარისხის დამწვრობისას 10-15 წუთით შეუშვირეთ გამდინარე წყალს, III და IV ხარისხის დამწვრობისას შეახვიეთ სუფთა სველი ქსოვილით და შემდეგ ასე შეხვეული გააცივით დამდგარ წყალში);
- დაზიანებული არედან მოაშორეთ ტანსაცმელი და ნებისმიერი სხვა საგანი, რომელსაც შეუძლია სისხლის მიმოქცევის შეფერხება. არ მოაშორეთ ტანსაცმლის ნაწილაკები, რომლებიც მიკრულია დაზიანებულ არეზე;
- დაფარეთ დაზიანებული არე სტერილური ნახვევით. ამით შემცირდება დაინფიცირების ალბათობა;
- დამწვრობის დროს შესაძლებელია ცხელი აირების ჩასუნთქვა, რაც იწვევს სასუნთქი გზების დამწვრობას. თუ დაზარალებულს აღნიშნება გამწვანებული ხმაურის სუნთქვა, დამწვრობა სახის ან კისრის არეში, სახისა და ცხვირის თმიანი საფარველის შეტრუსვა, პირის ღრუსა და ტუჩების შეშუპება, ყლაპვის გამწვანება, ხველა, ხრინწიანი ხმა - ეჭვი მიიტანეთ სასუნთქი გზების დამწვრობაზე და დაელოდეთ სამედიცინო სამსახურს;



- სამედიცინო სამსახურის მოსვლამდე მუდმივად შეამოწმეთ სუნთქვა და პულსი, მზად იყავით სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარებისათვის. დამწვრობის დროს არ შეიძლება დაზიანებული არიდან ტანსაცმლის ნაწილაკების აშრევა, რადგან ამით შესაძლებელია დაზიანების გაღრმავება;
- არ შეიძლება ბუშტუკების მთლიანობის დარღვევა, რადგან ზიანდება კანის საფარველი და იქმნება ხელსაყრელი პირობები ორგანიზმში ინფექციის შეჭრისათვის;
- დაზიანებული არის დასამუშავებლად არ გამოიყენოთ მალამოები, ლოსიონები, ზეთები;
- არ შეიძლება ქიმიური დამწვრობის დროს დაზიანებული არის დამუშავება მანეიტრალბელი ხსნარებით. მაგ. ტუტით განპირობებული დამწვრობის დამუშავება მჟავათი.

### 5.3.3.6 პირველადი დახმარება ელექტროტრავმის შემთხვევაში

არჩევნ ელექტროტრავმის სამ სახეს:

მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა. მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის დროს განვითარებული დაზიანება უმრავლეს შემთხვევაში სასიკვდილოა. ამ დროს ვითარდება მძიმე დამწვრობა. კუნთთა ძლიერი შეკუმშვის გამო, ხშირად დაზარალებული გადაისროლება მნიშვნელოვან მანძილზე, რაც იწვევს მძიმე დაზიანებების (მოტეხილობების) განვითარებას. მაღალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში:

არ შეიძლება დაზარალებულთან მიახლოება, სანამ არ გამოირთვება დენი და საჭიროების შემთხვევაში, არ გაკეთდება იზოლაცია. შეინარჩუნეთ 18 მეტრის რადიუსის უსაფრთხო დისტანცია. არ მისცეთ სხვა თვითმხილველებს დაზარალებულთან მიახლოების საშუალება;

ელექტროტრავმის მიღების შემდეგ, უგონოდ მყოფ დაზარალებულთან მიახლოებისთანავე გახსენით სასუნთქი გზები თავის უკან გადაწევის გარეშე, ქვედა ყბის წინ წამოწევით;

შეამოწმეთ სუნთქვა და ცირკულაციის ნიშნები. მზად იყავით რეანიმაციული ღონისძიებების ჩატარებისათვის;

თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია მაგრამ სუნთქავს, მოათავსეთ იგი უსაფრთხო მდებარეობაში;

ჩაატარეთ პირველი დახმარება დამწვრობისა და სხვა დაზიანებების შემთხვევაში. დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმა. დაბალი ვოლტაჟის დენით განპირობებული ელექტროტრავმა შეიძლება გახდეს სერიოზული დაზიანებისა და სიკვდილის მიზეზიც კი. ხშირად ამ ტიპის ელექტროტრავმა განპირობებულია დაზიანებული ჩამრთველებით, ელექტროგაყვანილობითა და მოწყობილობით. სველ იატაკზე დგომის ან სველი ხელებით დაუზიანებელ ელექტროგაყვანილობაზე შეხებისას ელექტროტრავმის მიღების რისკი მკვეთრად მატულობს. დაბალი ძაბვის დენით გამოწვეული ელექტროტრავმის შემთხვევაში:

- არ შეეხოთ დაზარალებულს, თუ ის ეხება ელექტროდენის წყაროს;
- არ გამოიყენოთ ლითონის საგნები ელექტროდენის წყაროს მოშორების მიზნით;
- თუ შეგიძლიათ, შეწყვიტეთ დენის მიწოდება (გამორთეთ დენის ჩამრთველი). თუ ამის გაკეთება შეუძლებელია, გამორთეთ ელექტრომოწყობილობა დენის წყაროდან;

- თუ თქვენ არ შეგიძლიათ დენის გამორთვა დადებით მშრალ მაიზოლირებელ საგანზე (მაგალითად, ხის ფიცარზე, რეზინის ან პლასტმასის საფენზე, წიგნზე ან გაზეთების დასტაზე;
- მოაშორეთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ცოცხის, ხის ჯოხის, სკამის საშუალებით. შესაძლებელია გადაადგილოთ დაზარალებულის სხეული დენის წყაროდან ან პირიქით, თუ ეს უფრო მოსახერხებელია, გადაადგილოთ თვით დენის წყარო;
- დაზარალებულის სხეულზე შეხების გარეშე, შემოახვიეთ ბაწარი მისი ტერფებისა ან მხრების გარშემო და მოაშორეთ დენის წყაროს;
- უკიდურეს შემთხვევაში, მოკიდეთ ხელი დაზარალებულის მშრალ არამჭიდრო ტანსაცმელს და მოაშორეთ ის დენის წყაროდან;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, გახსენით სასუნთქი გზები, შეამოწმეთ სუნთქვა და პულსი;
- თუ დაზარალებული უგონო მდგომარეობაშია, სუნთქვა და პულსი აქვს, მოათავსეთ უსაფრთხო მდებარეობაში. გააგრძელეთ დამწვარი არეები და დაადეთ ნახვევი;
- თუ დაზარალებულს ელექტროტრავმის მიღების შემდეგ არ აღენიშნება ხილული დაზიანება და კარგად გრძნობს თავს, ურჩიეთ დაისვენოს.
- ელვის/მეხის ზემოქმედებით გამოწვეული ელექტროტრავმა ელვით განპირობებული ელექტროტრავმის დროს ხშირია სხვადასხვა ტრავმის, დამწვრობის, სახისა და თვალების დაზიანება. ზოგჯერ ელვამ შეიძლება გამოიწვიოს უეცარი სიკვდილი. სწრაფად გადაიყვანეთ დაზარალებული შემთხვევის ადგილიდან და ჩაუტარეთ პირველი დახმარება როგორც სხვა სახის ელექტროტრავმის დროს.

### 5.3.3.7 რეაგირება სატრანსპორტო შემთხვევების დროს

სატრანსპორტო შემთხვევის დროს საჭიროა შემდეგი სტრატეგიული ქმედებების განხორციელება:

სატრანსპორტო საშუალებების/ტექნიკის გაჩერება;

იმ შემთხვევაში თუ საფრთხე არ ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას და არ არსებობს სხვა ავარიული სიტუაციების პროვოცირების რისკები (მაგ. სხვა სატრანსპორტო საშუალებების შეჯახება, აფეთქება, ხანძარი, საწვავის დაღვრა და სხვ.), მაშინ:

- გადმოდით სატრანსპორტო საშუალებიდან/ტექნიკიდან ან მოშორდით ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას.
- დამატებითი საფრთხეების შემთხვევაში იმოქმედეთ შემდეგნაირად:
- გადმოდით სატრანსპორტო საშუალებიდან/ტექნიკიდან ან მოშორდით ინციდენტის ადგილს და შეინარჩუნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- თუ შემთხვევის ადგილზე მართო იმყოფებით, მაშინ შემთხვევის ადგილიდან მოშორებით გზაზე დააყენეთ გამაფრთხილებელი ნიშნები ან მკვეთრი ფერის უსაფრთხო საგნები, რომლებიც შესამჩნევი იქნება ინციდენტის ადგილისკენ მოძრავი ავტომობილების მძღოლებისთვის;

- აფეთქების, ხანძრის იმოქმედეთ შესაბამის ქვეთავებში მოცემული რეაგირების სტრატეგიის მიხედვით;
- იმ შემთხვევაში თუ საფრთხე ემუქრება ადამიანის ჯანმრთელობას ნუ შეეცდებით სხეულის გადაადგილებას;
- თუ დაშავებული გზის სავალ ნაწილზე წევს, გადააფარეთ რამე და შემოსაზღვრეთ საგზაო შემთხვევის ადგილი, რათა იგი შესამჩნევი იყოს შორიდან;
- მოხსენით ყველაფერი რაც შესაძლოა სულს უზუთავდეს (ქამარი, ყელსახვევი);
- დაშავებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინეთ შესაბამის ქვეთავებში მოცემული პირველადი დახმარების სტრატეგიის მიხედვით (თუმცა გახსოვდეთ, რომ დაშავებულის ზედმეტი გადაადგილებით შესაძლოა დამატებითი საფრთხე შეუქმნათ მის ჯანმრთელობას). დაელოდეთ სამაშველო რაზმის გამოჩენას.

### 5.3.4 ავარიებზე რეაგირებისთვის საჭირო პერსონალი და აღჭურვილობა

#### 5.3.4.1 ავარიებზე რეაგირებისთვის საჭირო პერსონალი

საწარმოს ადმინისტრაციის მიერ გამოყოფილი უნდა იქნეს პერსონალი, რომლებსაც დაევალებათ, როგორც ავარიული სიტუაციების წარმოქმნის პრევენციული ღონისძიებების გატარებაზე ზედამხედველობა და საჭირო აღჭურვილობის მზადყოფნის მონიტორინგი, ასევე ინციდენტის რეალიზაციის შემთხვევაში სწრაფი და სათანადო რეაგირების უზრუნველყოფა დამხმარე რაზმის გამოჩენამდე. აღსანიშნავია, რომ ავარიული სიტუაციის შემთხვევაში თავდაპირველი რეაგირება ხორციელდება ინციდენტის აღმომჩენი პერსონალის მიერ.

ავარიების პრევენციის და რეაგირებისთვის გამოყოფილი პერსონალის ჩამონათვალი, მათი უფლება-მოვალეობების მითითებით, მოყვანილია ქვემოთ:

- ჯანდაცვისა და უსაფრთხოების ოფიცერი (H&SE ოფიცერი), რომლის უფლება-მოვალეობებია:
- სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონის გაკონტროლება ყოველდღიურად;
- უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტების დაფიქსირება;
- ავარიებზე რეაგირებისათვის გამოყოფილი სხვა პერსონალის მზადყოფნის და მათ მიერ შესრულებული ავარიული სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების შესრულების დონის შემოწმება თვეში ერთხელ;
- ავარიებზე რეაგირებისათვის საჭირო აღჭურვილობის, მათი ვარგისიანობის და მზადყოფნის დონის შემოწმება თვეში ერთხელ;
- პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შემოწმება. ინციდენტის რეალიზაციის შემთხვევაში;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და მათთვის შესაბამისი მითითებების მიცემა (უბნის უფროსთან / სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან ერთად);
- დამხმარე რაზმის გამოჩენისთანავე მისთვის სათანადო დეტალური ინფორმაციის მიწოდება; ინციდენტის ამოწურვის შემდგომ;

- ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში ჩართული პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და მათთვის შესაბამისი მითითებების მიცემა (სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ მირთან ერთად);
- ანგარიშის მომზადება და ზემდგომი პირებისთვის და დაინტერესებული მხარეებისთვის გადაცემა. ანგარიშში მოყვანილი უნდა იყოს: ავარიის გამომწვევი მიზეზები, მასშტაბი, ავარიის შედეგები და ზარალი, ავარიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, ინციდენტის გამეორების პრევენციისკენ მიმართული რეკომენდაციები და სხვ.
- ხანძრის აღმოცენება-გავრცელების პრევენციაზე და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პერსონალი (უბნების მიხედვით), რომელთა უფლება-მოვალეობებია:
- ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის ვარგისიანობის და მზადყოფნის დონის შემოწმება ყველა უბანზე თვეში ერთხელ; ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის სამუშაო უბნების მიხედვით საჭიროებისამებრ განაწილება;
- განაწილებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის სიის შედგენა (აღჭურვილობის სახეობის, რაოდენობის და განლაგების ადგილმდებარეობის მიხედვით);
- საჭიროებისამებრ ზემდგომი პირებისათვის დამატებითი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის მოთხოვნა;
- ცალკეულ უბნებზე ხანძარსაშიში სამუშაოების დაწყებამდე, დამატებითი ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის მობილიზება ამ უბანზე;
- ინციდენტის რეალიზაციის შემთხვევაში:
- ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებებში უშუალოდ ჩართვა;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და მათთვის შესაბამისი მითითებების მიცემა (მაგ. თუ რა ტიპის ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის გამოყენება არის დაშვებული ან დაუშვებელი წარმოქმნილი ხანძრის ლიკვიდაციის მიზნით);
- დამხმარე სახანძრო რაზმის გამოჩენისთანავე მისთვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება ტერიტორიაზე არსებული ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის შიდა რესურსების შესახებ და საჭიროებისამებრ დამხმარე რაზმისთვის დამატებითი აღჭურვილობით მომარაგება;
- საშიში ნივთიერებების დაღვრის პრევენციაზე და რეაგირებაზე პასუხისმგებელი პერსონალი, რომლის უფლება-მოვალეობები იქნება:
- დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობის შემოწმება ყველა სენსიტიურ უბანზე თვეში ერთხელ;
- დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობის სამუშაო უბნების მიხედვით საჭიროებისამებრ განაწილება;
- დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობის სიის შედგენა (აღჭურვილობის სახეობის, რაოდენობის და განლაგების ადგილმდებარეობის მიხედვით);
- საჭიროებისამებრ ზემდგომი პირებისათვის დამატებითი ინვენტარის მოთხოვნა;
- ცალკეულ უბნებზე საშიში ნივთიერებების დაღვრის თავალსაზრისით მაღალი რისკების მქონე სამუშაოების დაწყებამდე, დამატებითი აღჭურვილობის მობილიზება ამ უბანზე;
- ინციდენტის რეალიზაციის შემთხვევაში:
- დაღვრის აღმოსაფხვრელ ღონისძიებებში უშუალოდ ჩართვა;
- პერსონალის ქმედებების გაკონტროლება და მათთვის შესაბამისი მითითებების მიცემა (მაგ. თუ რა ტიპის აღჭურვილობის ან რომელი მეთოდის გამოყენება არის დაშვებული ან

დაუშვებელი დაღვრილი ნივთიერებების გავრცელების პრევენციის მიზნით; პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება ტერიტორიაზე არსებული დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობის შიდა რესურსების და მათი განლაგების ადგილმდებარეობის შესახებ.

სამუშაოები უნდა შესრულდეს არსებული პერსონალის მიერ მათზე გადანაწილებული ფუნქციების შესაბამისად. ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებაზე ზედამხედველობას გარემოსდაცვითი მმართველი.

#### 5.3.4.2 ავარიებზე რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა

ავარიების სათვალეები; სპეცტანსაცმელი; ხელთათმანები; რესპირატორები.

- ხანძარსაქრობი აღჭურვილობა:
- სახანძრო სტენდები ყველა სენსიტიურ უბანზე. სახანძრო სტენდის შემადგენლობაში შევა:
- სტანდარტული ცეცხლჩამქრობები – განკუთვნილი მყარი, თხევადი და გაზისმაგვარი ნივთიერებების აალებისას (A, B, C კლასის). მათი გამოყენება შესაძლებელია ელექტრომოწყობილობების ჩასაქრობად, რომელთა ძაბვა 1000 v.-მდეა;
- სხვა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი – სახანძრო ვედრო, ნიჩაბი, ბარჯი, ძალაყინი, ნაჯახი.
- სახანძრო სტენდებზე აღნიშნული უნდა იყოს უბნის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია; სტანდარტული ცეცხლჩამქრობები; ვედროები, ქვიშა, ნიჩბები და ა.შ.;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებით გამოყენებული იქნება ქ. თბილისის სახანძრო რაზმის მანქანა;
- გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების აღჭურვილობა:
- სტანდარტული სამედიცინო ყუთები ჯანმრთელობისათვის სახიფათო უბნებზე;
- სასწრაფო დახმარების მანქანა - გამოყენებული იქნება ქ. რუსთავის სასწრაფო დახმარების მანქანა.
- დაღვრის აღმოსაფხვრელი აღჭურვილობა: ქვიშა დაბინძურებული ადგილების დაფარვისათვის; ვედროები; ნიჩბები, ცოცხები და სხვა.

#### 5.3.5 საჭირო კვალიფიკაცია და პერსონალის სწავლება

პერიოდულად უნდა შესრულდეს ავარიაზე რეაგირების თითოეული სისტემის გამოცდა, დაფიქსირდეს მიღებული გამოცდილება და გამოსწორდეს სუსტი რგოლები (იგივე უნდა შესრულდეს ინციდენტის რეალიზაციის შემთხვევაშიც).

საწარმოს ექსპლუატაციაზე დასაქმებული პერსონალის მთელ შტატს, ასევე კონტრაქტორი კომპანიების პერსონალს უნდა ჩაუტარდეს გაცნობითი ტრენინგი, რომელშიც შედის ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების კურსი. ჩატარებულ სწავლებებზე უნდა არსებობდეს პერსონალის გადამზადების რეგისტრაციის სისტემა.

### 5.3.6 მონიტორინგი და ანგარიშგება

#### 5.3.6.1 მონიტორინგი

ავარიაზე რეაგირებისთვის განკუთვნილი აღჭურვილობა პერიოდულად უნდა მოწმდებოდეს, მ.შ. უნდა შემოწმდეს მედიკამენტების ვარგისიანობის ვადა, ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის მზადყოფნა, დაღვრის საწინააღმდეგო აღჭურვილობის სისუფთავე და სხვა. განსაკუთრებული ყურადღებას მოითხოვს პერსონალის ტრეინინგების მონიტორინგი.

#### 5.3.6.2 ანგარიშგება

ყველა ანგარიში უნდა მომზადდეს ზემოთ აღწერილი პროცედურების გათვალისწინებით.

ანგარიშგება სამ საფეხურად იყოფა:

**საფეხური 1:** ანგარიშის მომზადება ავარიაზე - ინციდენტისა, მისი მიზეზებისა და შედეგების აღწერა.

**საფეხური 2:** ანგარიშის მომზადება დასუფთავების სამუშაოების შესახებ იმ ავარიებისათვის, რომლის შემდეგაც საჭიროა დასუფთავება. ანგარიშში მოყვანილი უნდა იყოს ის ფაქტები, რომლებიც საჭიროებს გათვალისწინებას რეაგირების გეგმაში;

**საფეხური 3:** თვიური ანგარიშების მომზადება, რომელშიც აღწერილი იქნება ბოლო თვის განმავლობაში ავარიაზე რეაგირების ფარგლებში განხორციელებული ქმედებები, მიღებული გამოცდილება და რეაგირების გეგმაში გასათვალისწინებელი წინადადებები.



## 5.4 ნარჩენების მართვის გეგმა

### 5.4.1 აღწერილობითი ნაწილი

#### ნარჩენების აღწერილობა:

კომპანიაში წარმოიქმნება სხვადასხვა სახის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები.

სახიფათო ნარჩენები:

- ემულსია
- ტყვიის შემცველი ბატარეები
- ჰიდრაავლიკური ზეთები
- ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები
- ზეთებით დაბინძურებული ნახერხი
- შესაფუთი მასალები, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებებს

არასახიფათო ნარჩენი:

- ფერადი ლითონის ნარჩენები
- კაბელის ნარჩენები
- საიზოლაციო ნარჩენები

მუნიციპალური ნარჩენები

სახიფათო ნარჩენის განმსაზღვრელი მახასიათებელი, „ნარჩენების მართვის კოდექსის“ III დანართის შესაბამისად. სახიფათო ნარჩენებს მითითებული აქვს სახიფათოობის განმსაზღვრელი შესაბამისი კოდი.



**ცხრილი N1 (ნარჩენების ნუსხა კლასიფიკაციის მიხედვით):**

ნარჩენის კოდი	ნარჩენის დასახელება	სახიფათო	სახიფათოობის მახასიათებელი	ფიზიკური მდგომარეობა	რაოდენობა წლების მიხედვით (კგ/ლ/მ <sup>3</sup> )			აღდგენა/განთავსების ოპერაცია	კომპანია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები
					2020	2021	2022		
12 01 04	ფერადი ლითონების ნაწილაკები	არა	-	მყარი	15600 კგ	17200 კგ	17900 კგ		შპს "თი ერ სი"
12 01 05	პლასტმასის ნაწილაკები	არა	-	მყარი	54500 კგ	60300 კგ	63100 კგ	D 1	შპს „თბილსერვის ჯგუფი“
12 01 09*	მექანიკური დამუშავების ემულსიები და გამხსნელები, რომლებიც არ შეიცავს ჰალოგენებს	დიახ	H3-B; H-5	თხევადი	600 ლ	650 ლ	700 ლ	D10	შპს „სანიტარი“
12 01 99*	ნარჩენები, რომლებიც არ არის განსაზღვრული აღნიშნულ კატეგორიაში (ზეთებით)	დიახ	H3-B; H5	მყარი	10 კგ	11 კგ	12 კგ	D10	შპს „სანიტარი“



	დაბინძურებული ნახერხი)								
13 01 10*	მინერალური არაქლორირებული ჰიდრაულიკური ზეთები	დიახ	H14; H5	თხევადი	380 ლ	400 ლ	420 ლ	R9 / R13	შპს „ბიდი“
15 01 10*	შესაფუთი მასალა, რომლებიც შეიცავს სახიფათო ნივთიერებების ნარჩენებს ან/და დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	H3-B; H5	მყარი	1000 კგ	1100 კგ	1200 კგ	D10	შპს „სანიტარი“
15 02 02*	აბსორბენტები, ფილტრის მასალები (ზეთის ფილტრების ჩათვლით, რომელიც არ არის განხილული სხვა კატეგორიაში), საწმენდი ნაჭრები და დამცავი ტანსაცმელი, რომელიც დაბინძურებულია სახიფათო ნივთიერებებით	დიახ	H3-B; H5	მყარი	120 კგ	130 კგ	140 კგ	D10	შპს „სანიტარი“



16 06 01*	ტყვის შემცველი ბატარეები	დიახ	H 6; H 15	მყარი	1 კგ	1.1 კგ	1.2 კგ	R4	შპს „სანიტარი“
20 03 01	შერეული მუნიციპალური ნარჩენები	არა	-	მყარი / თხევადი	48 მ <sup>3</sup>	52 მ <sup>3</sup>	56 მ <sup>3</sup>	D 1	შპს „თბილსერვის ჯგუფი“

**შენიშვნა:**

- ნარჩენის კოდში 12 01 99 იგულისხმება ზეთებით დაბინძურებული ნახერხი;
- ნარჩენის კოდში 12 01 05 იგულისხმება კაბელის და საიზოლაციო ნარჩენები;



## 5.4.2 დასკვნითი ნაწილი-ნარჩენების მართვა

### 5.4.2.1 ნარჩენების პრევენციისა და აღდგენისთვის განსახორციელებელი ღონისძიებები:

საქმიანობის განხორციელების პროცესში გათვალისწინებული იქნება ნარჩენების პრევენციის და აღდგენის შემდეგი სახის ღონისძიებები:

- კომპანიის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი გამოუსადეგარი მასალები გამოყენებული იქნება მეორადად (მაგ: ხის მასალები).
- უპირატესობა მიენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს და ქიმიურ ნაერთებს;
- სახიფათო მასალების ჩანაცვლება ნაკლებად სახიფათოთი ან ნაკლებად ტოქსიკურით, ან იმ მასალით რომელიც ნაკლებ ნარჩენს წარმოქმნის;
- ნებისმიერი სახის ნივთები, ნივთიერება, ობიექტის ტერიტორიაზე შემოტანილი იქნება იმ რაოდენობით, რაც საჭიროა სამუშაოების/ ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფილად წარმართვისათვის;
- კომპანიისთვის საჭირო მასალების, ნივთიერებების, ნივთების და სხვ. შესყიდვისას უპირატესობა მიენიჭება გარემოსთვის უსაფრთხო და ხარისხიან პროდუქციას;
- უპირატესობა მიენიჭება ხელმეორედ გამოყენებად ან გადამუშავებად, ბიოლოგიურად დეგრადირებად ან გარემოსათვის უვნებლად დაშლად ნივთიერებებს, მასალებს;
- არ მოხდება ტერიტორიაზე მასალების ხანგრძლივი დროით დასაწყობება;
- მოხდება კონტროლი, რათა შემცირდეს რესურსების გაფუჭება, მათი ვადის გასვლა, თვისებების დაკარგვა, დაბინძურება;
- სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ერთმანეთში შერევის თავიდან აცილების მიზნით, შემოდებული იქნება ნარჩენების სეგრეგაციის მკაცრი სისტემა;
- მოხდება სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო განთავსება, რათა არ წარმოიშვას ჯანმრთელობისთვის რისკი და გარემოს დაბინძურების შემთხვევა თავიდან იქნეს აცილებული;
- აკრძალული იქნება: ნარჩენებით გარემოს დანაგვიანება; ნარჩენების შეგროვება კონტეინერის გარეთ;
- ნარჩენების მართვისათვის გამოყოფილი იქნება სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალი; სისტემატურად მოხდება პერსონალის ტრენინგი ნარჩენებთან დაკავშირებულ საკითხებზე.



### 5.4.3 წარმოქმნილი ნარჩენის შეგროვების და ტრანსპორტირების მეთოდები:

მუნიციპალური ნარჩენები შეგროვდება შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ გამოყოფილ ურნაში და მისი გატანა მოხდება პერიოდულად ამავე კომპანიის მიერ.

წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენები შეგროვდება მუშა პერსონალის დახმარებით, რომელსაც გავლილი ექნება შესაბამისი ტრენინგი/სწავლება სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობასთან დაკავშირებით.

სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება/განთავსება/გაუვნებელყოფისთვის კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „სანიტართან“, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ნებართვა სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისთვის. სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირება ხდება საქართველოს სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების შესაბამისი რეგულაციების გათვალისწინებით.

ჰიდრავლიკური ზეთები აღდგენის მიზნით გადაეცემა შპს „ბიდი“-ს.

ფერადი ლითონის ნარჩენებს კომპანია ყიდის შპს „თი ერ სი“-ზე.

### 5.4.4 სეპარირების მეთოდის აღწერა, განსაკუთრებით - სახიფათო ნარჩენების სხვა ნარჩენებისგან განცალკევების შესახებ:

საქმიანობის განხორციელების პროცესში ორგანიზებული და დანერგილი იქნება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების მეთოდი, მათი სახეობის და საშიშროების ტიპის მიხედვით:

- საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ორი განსხვავებული ფერის კონტეინერი, შესაბამისი წარწერებით:
  - ერთი მათგანი განკუთვნილი იქნება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად;
  - მეორე - თხევადი სახიფათო ნარჩენების შესაგროვებლად. თხევადი სახიფათო ნარჩენები (ჰიდრავლიკური ზეთები) შეგროვდება პლასტმასის ან ლითონის დახურულ ურნაში ან კონტეინერში და გატანილი იქნება სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის უბანზე;

ტყვიის შემცველი ბატარეები შენახული იქნება სპეციალურ ყუთში, რომელიც შეინახება სახიფათო ნარჩენების დროებით სათავსოში.

აკრძალული იქნება:

- ნარჩენების წარმოქმნის ადგილზე ხანგრძლივი დაგროვება (1 კვირაზე მეტი ვადით);
- მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისათვის განკუთვნილ კონტეინერებში სახიფათო ნარჩენების მოთავსება;
- თხევადი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ღია, ატმოსფერული ნალექებისგან დაუცველ ტერიტორიაზე;

ნარჩენების დაწვა;





#### 5.4.5 წარმოქმნილი ნარჩენების დროებითი შენახვის მეთოდები და პირობები:

საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების უზნისთვის გათვალისწინებული იქნება შემდეგი პირობების დაცვა:

- სახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის მოეწყობა სასაწყობე სათავსი, შემდეგი მოთხოვნების დაცვით:

o სათავსს ექნება სათანადო აღნიშვნა და დაცული იქნება ატმოსფერული ნალექების ზემოქმედებისა და უცხო პირების ხელყოფისაგან;

o სათავსის იატაკი და კედლები მოპირკეთებული იქნება მყარი საფარით;

o სათავსის ჭერი მოეწყობა ტენმედეგი მასალით;

o სათავსი აღჭურვილი იქნება ხელსაბანით და ონკანით, წყალმიმღები ტრაპით;

o ნარჩენების განთავსებისათვის მოეწყობა სტელაჟები და თაროები;

o ნარჩენები განთავსდება მხოლოდ ჰერმეტიკულ ტარაში შეფუთულ მდგომარეობაში, რომელსაც ექნება სათანადო მარკირება.

ობიექტის ტერიტორიაზე ნარჩენების დროებითი დასაწყობების მოედნები შესაბამისობაში იქნება შემდეგ მოთხოვნებთან:

- მოედნის საფარი იქნება მყარი;
- მოედნის მთელ პერიმეტრზე მოეწყობა შემოღობვა და შემოზვინვა, რათა გამოირიცხოს მავნე ნივთიერებების მოხვედრა მდინარეში ან ნიადაგზე;
- მოედანს უნდა გააჩნდეს მოსახერხებელი მისასვლელი ავტოტრანსპორტისათვის;
- ნარჩენების ატმოსფერული ნალექების და ქარის ზემოქმედებისაგან დასაცავად გათვალისწინებული უნდა იქნას ეფექტური დაცვა (ფარდული, ნარჩენების განთავსება ტარაში, კონტეინერები და ა.შ.);

მოედნების პერიმეტრზე გაკეთდება შესაბამისი აღნიშვნები და დაცული იქნება უცხო პირობის ხელყოფისაგან.

#### 5.4.6 ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით

სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დამუშავებისთვის კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შესაბამისი ნარჩენების დამუშავების ლიცენზიის მქონე კერძო თუ საჯარო იურიდიულ პირებთან. ნარჩენების გადაცემა ამ ორგანიზაციებისთვის ხდება საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ მითითებების თანახმად. ცხრილი N3-ში მითითებულია ნარჩენების აღდგენა/განთავსებისთვის გამოყენებული ოპერაციები და ყველა იმ იურიდიულ პირთა სახელწოდებები, რომელთაც გადაეცემათ ნარჩენები შემდგომი დამუშავებისთვის:

ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული მეთოდები, დამუშავების ოპერაციის კოდის მითითებით – კოდექსის I და II დანართების მიხედვით:



#### 5.4.7 სახიფათო ნარჩენების უსაფრთხო მართვისათვის ზომებისა და მომუშავე პერსონალის შესაბამისი სწავლების ღონისძიებები:

კომპანიაში მომუშავე ყველა კადრს უტარდება შესაბამისი ტრეინინგი სახიფათო ნარჩენებთან მოპყრობის თაობაზე. ამჟამად კომპანიაში მომუშავე ყველა კადრი ინფორმირებულია სახიფათო ნარჩენების განთავსების პროცედურებთან დაკავშირებით, ხოლო აყვანილ ახალ კადრებს, უკვე მომუშავე გამოცდილი კადრები უტარებენ შესაბამის ტრეინინგსა და ინფორმირებას სახიფათო ნარჩენების მოპყრობასთან დაკავშირებით.

კომპანიას საქართველოს „ნარჩენების მართვის კოდექსის“ თანახმად განსაზღვრული ჰყავს გარემოსდაცვითი მმართველი, რომლის მონაცემებიც მითითებულია წინამდებარე დოკუმენტის 1 - შესავალ ნაწილში. საჭიროების შემთხვევაში კომპანიის გარემოსდაცვითი მმართველი მოახდენს კადრების დამატებით გადამზადებასა და ინფორმირებას.

#### 5.4.8 იმ პირის შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით, შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მითითებით:

შპს „სანიტარი“ – (ს/კ: 204927240) მისამართი: რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი 4 ტელ: + 995 599 137 811 + 995 599 583 130

- საქმიანობის განხორციელების ადგილია: რუსთავი, გამარჯვების გზატკეცილი 4
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ნომერი: 51
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის თარიღი: 10/7/2013
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვა: 000021
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის თარიღი: 10/8/2013

შპს „ბიდი“ - ს/კ - 426541030. მისამართი: ქვემო ქართლი, გარდაბნის რაიონი, ს. გამარჯვება, 23-ე ქ., N 12. ტელ: +995 595 71 37 37 საქმიანობის მიზანი - ზეთების გადამუშავება.

შპს „თი ერ სი“ - ს/კ -415595591. მისამართი: თბილისი, ქინძმარაულის ქ. 13. ტელ: + 995 555 999 331. საქმიანობის მიზანი - საბურავების გადამუშავება.

შპს „თბილსერვის ჯგუფი“ - (ს/კ:206267494 )

- იურიდიული მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7
- საქმიანობის განხორციელების ადგილია: გარდაბნის რაიონი, სოფელი ნორიოს თემის ტერიტორია
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ნომერი: 12
- ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის თარიღი: 24/03/2010



5.5 ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების საბაგენტო



წერილის ნომერი: 16-01222441493  
თარიღი: 01/09/2022

აღრესატი: შპს ენ ერ ვი ჯორჯია  
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405076359  
მისამართი: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ყიუღი მარტავის ქუჩა, №40

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ, განიხილა თქვენი 30.08.2022 წლის №10/01222421114-16, რომლითაც მოთხოვნილია ინფორმაცია ქ. თბილისში, ქვემო ალექსეევკას დასახლებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.24.007.359 მოქმედ ფუნქციურ ზონასა და შეზღუდვებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.19.24.007.359) „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, სამრეწველო ზონა (ს-1) წარმოადგენს შერეულ სამრეწველო ქვეზონას და მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში არსებულ/დაგეგმილ საწარმოო და სამრეწველო გამოყენების ტერიტორიებს; ს-1-ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; შესაძლებელია ს-1-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა არაუმეტეს საერთო ოდენობის 25%-ის, კანონმდებლობის შესაბამისად; ასევე სასაწყობო, ელექტროქვესადგურებისა და წყლის რეზერვუარებისათვის განკუთვნილი ობიექტების განთავსება. სპეციალური ზონა-ში (ს-1), სპეციალურ (ზონალურ) შეთანხმების საფუძველზე, საგამონაკლისო დასაშვებ სახეობას წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებების მომსახურების ობიექტი.

განაშენიანების რეგულირების პარამეტრები			
	კ-1	-	კოეფიციენტი
	კ-2	-	კოეფიციენტი
	კ-3	0,1	კოეფიციენტი
	საცხოვრებელი სიმჭიდროვე	-	ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები	მინიმალური ფართობი	-	კვ.მ
	მინიმალური სიგანე	-	მეტრი
	მინიმალური სიღრმე	-	მეტრი



შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე	-	მეტრი
--------------------------------------	---	-------

ასევე, გაცნობებთ, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხვდება თვითმფრინავების ასაფრენი ზოლის შეზღუდვის არეალში, სადაც ნებისმიერი შენობა-ნაგებობის განთავსების ადგილი და სიმაღლე დაინტერესებულმა პირმა უნდა შეათანხმოს აეროდრომის ექსპლუატანტან შპს „ტავ ურბან საქართველოსთან“.

დამატებით გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ს/კ №01.19.24.007.359 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვარს №6 განკარგულებით დამტკიცებულია საწარმოს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც საჭიროა განხორციელდეს ტერიტორიის გეგმარება და სამშენებლო განვითარება.

ვიქტორ წილოსანი  
სააგენტოს უფროსი



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

